აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№27 (24.907) სამშაბათი, 22 - 23 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი

## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 5-10, შიდამთიან რაიონებში - 1-6 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანიუსი

პრინციპებისა და ღირებულებების ერთგული, მაღალი პასუხისმგებლობისა და პროფესიული სტანდარტების დამოუკიდებელი მედია არსებითია დემოკრატიის ხარისხისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მან ჟურნალისტებს, ტელე, რადიო, ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებს ქართული ჟურნალისტიკის დღე მიულოცა. „ჩვენი ხელისუფლება გარანტად უდგას თავისუფალ, პლურალისტურ მედიაგარემოს. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გატარებული რეფორმების შედეგად მედიის თავისუფლების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამ მხრივ საქართველო დღეს რეგიონში უდავო ლიდერია“, - აღნიშნა პრემიერმა.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დეპუტატებთან ერთად, სექტორ „სადახლოს“ მესაზღვრეებს პროფესიული დღე



მიულოცა. შალვა პაპუაშვილმა იქ არსებული სატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობა, ასევე, შენობა და თანამედროვე ელექტრონული დაკვირვების სისტემები დაათვალიერა. პარლამენტის თავმჯდომარეს და დეპუტატებს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის შესახებ პრეზენტაციაც გააცნეს. პაპუაშვილმა მესაზღვრეებს პროფესიული მოვალეობის წარმატებით შესრულებისთვის, ხოლო საერთაშორისო პარტნიორებს - სასაზღვრო პოლიციის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

* * *

დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების ჯგუფურად გაფლანგვაში ბრალდებულების, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის თეიმურაზ ჯანაშიას საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი გაიმართა, სადაც დაცვის მხარის მტკიცებულებები გამოიკვლიეს. პროკურატურა ბრალდებულებს საბიუჯეტო თანხის - 9 მილიონი ლარის ჯგუფურად გაფლანგვას ედავება. პროცესის პარალელურად, გაიმართა მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია.

მოამზადა
ია შველიძემ

# „ჩვენი ერი უნდა იყოს შეკრული, ერთიანი და ძლიერი“

„ჩვენი მთავრობა მტკიცედ და ძალიან მკაფიოდ გამოვიდა ომის დაწყების პირველივე დღეს და უპრეცედენტო მხარდაჭერა გამოხატა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ, გაეროს რეზოლუციის თანასპონსორობის ფორმით, ასევე, ეუთოს ფარგლებში, ევროკავშირის თუ ევროპის საბჭოს ფორმატში, ჩვენ ყველგან მკაფიო მხარდაჭერა გამოვუცხადეთ უკრაინელ მეგობრებს და მოქალაქეებს“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მარნეულში, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, სადაც ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, ყველა მუსლიმს, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცა და მადლობა გადაუხადა ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში შეტანილი წვლილისთვის.

ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების ოჯახებს მიუსამძიმრა და განაცხადა, რომ მთავრობისთვის თითოეული მოქალაქის სიცოცხლე მნიშვნელოვანია. მან მოუწოდა ყველას თხოვნით, რომ ამ გარდაცვლილი ბიჭების სიკვდილით ნუ გააგრძელებენ სპეკულირებას, ეს იწვევს შუღლს, საზოგადოების დაბნევას, მოსახლეობის დაძაბვას. ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა საქართველოს მხრიდან უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება გაგრძელდეს და ამ ფორმით გამოვხატოთ სოლიდარობა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, საქართველოს სიტუაცია განსაკუთრებული და უნიკალურია. „ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის 20% არის ოკუპირებული და რუსის ჯარი დგას ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენ ვცხოვრობთ რუსულ ჯართან ერთად და ამ დროს, ამ ვითარებაში, როდესაც სიტუაცია არის არაპროგნოზირებადი და მოწყვლადი მთელი რეგიონის და ევროპის მასშტაბით, რა თქმა უნ-



და, სრულად მიუღებელი და გაუგებარი იყო ის ანტისახელმწიფოებრივი აქციები, რომელიც იმართებოდა. სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ ეს იმ ძალების მიერ იყო ორგანიზებული, რომლებიც წლებია უკვე ატარებენ ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ პოლიტიკას, რა თქმა უნდა, ეს არის მოღალატეობრივი პოლიტიკა, ეს არის მე-5 კოლონა, ეს არის შულავერის კომიტეტი, რომელიც საქართველოში მოქმედებს. ამიტომ, ჩვენ ამას არ დავუშვებთ და ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოსახლეობის ინტერესს დავიცავთ ბოლომდე“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი GORBI-ს კვლევის შედეგებსაც გამოეხმაურა: „ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა - ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებს ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, იმ პოლიტიკას, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის და სუვერენიტეტის, ჩვენი მოქალაქეების დაცვას“.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ერი უნდა იყოს შეკრული, ერთიანი და ძლიერი, მტკიცედ უნდა გაგრძელდეს ქვეყნის მსახურება. „მინდა ვუთხრა ჩვენს მოსახლეობას, რომ დღეს ჩვენ წინაშე ძალიან რთული გამოწვევები არსებობს, რეგიონში, მოგეხსენებათ, უპრეცედენტო მასშტაბის ომი მიმდინარეობს, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენი მთავრობა, გონივრული და სახელმწიფოებრივი, ეროვნული პოლიტიკით ვახერხებთ იმას, რომ ქვეყანაში არის შენარჩუნებული მშვიდობა, სტაბილურობა. ეს ასე გაგრძელდება. მინდა ყველას მოგიწოდოთ სიმშვიდისკენ და კონსოლიდაციისკენ. ჩვენი ერი უნდა იყოს შეკრული, ერთიანი და ძლიერი, მტკიცედ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის მსახურება,“ - აღნიშნა პრემიერმა. მთავრობის მეთაურის თქმით, საერთაშორისო თანამეგობრობამ, მთელმა მსოფლიომ უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს ომი.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მედიის წარმომადგენლებს ქართული ჟურნალისტიკის დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ „ხელისუფლება გარანტად უდგას თავისუფალ, პლურალისტურ მედიაგარემოს. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გატარებული რეფორმების შედეგად, მედიის თავისუფლების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამ მხრივ საქართველო დღეს რეგიონში უდავო ლიდერია. ჩვენ მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ ქართული მედიასივრცის განვითარებისთვის,“ - აღნიშნა პრემიერმა.

ელენე საყვარელიძე

ბათუმის საზღვაო აკადემიას ახალი რექტორი ჰყავს 2

«პუტინის რუსეთი - ცეცხლიანი მახვილით ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ» 3

მამუკა არეშიძე: ექსპერტთა რჩევა არ გაითვალისწინა ოფიციალურმა მოსკოვმა და თავი ხაფანგში შეყო 4

დავით ჩხარტიშვილი: ფსონები ბევრად მაღალია, ვიდრე უკრაინის ნეიტრალიტეტი და ბანდერა-შუხევიჩის დეჰეროიზაცია 6

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! 27-48-93

# ქართველი მორაგბეების წარმატება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97



*საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის ბოლო ტურში ესპანეთის ნაკრებს თბილისში უმასპინძლა და ანგარიშით 49:15 დაამარცხა. ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და რაგბი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა*

ფინალი ყოველთვის განსხვავებული, საინტერესო, ამავდროულად, რთულია, ეს ორივე გუნდმა იცოდა. მაგრამ ქართველმა ბორჯღალოსნებმა კარგი თამაშით მიზნის მიღწევა შეძლეს, თანაც ესპანეთის ძლიერ გუნდთან დამაჯერებლად გაიმარჯვეს, ეს ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. თოვლიანმა ამინდმა ოდნავ კორექტივები კი შეიტანა თამაშში, მაგრამ ჩვენმა ბორჯღალოსნებმა, განსაკუთრებით ბოლო 30 წუთში, მოახერხეს თავისი გუნდური და ინდივიდუალური თამაშის კლასი ეჩვენებინათ.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მეთოთხმეტედ მოიგო.

# ბათუმის საზღვაო აკადემიას ახალი რექტორი ჰყავს



***ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას პროფესიონალი მეზღვაური, შორეული ნაოსნობის კაპიტანი მურთაზ დევაძე უხელმძღვანელებს.*** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, ახალი რექტორი ქვეყნის უძველესი საზღვაო უმაღლესი სასწავლების ხელმძღვანელობას 15 მარტიდან შეუდგა. მურთაზ დევაძეს 10 წელზე მეტია მჭიდრო კავშირი აქვს აკადემიასთან: 2010-2014 წლებში იყო საზღვაო ფაკულტეტის დეკანი, 2017-2020 წლებში - აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი. მასვე დაეკისრა ფოთში აკადემიის ახალგახსნილი ფილიალის საზღვაო სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელობა, 2021 წლის მარტიდან რექტორის მოადგილის პოზიციაზეა, ხოლო 14 თებერვლიდან აკადემიის რექტორის მოვალეობას ასრულებდა.

ახლად დანიშნული რექტორი საზღვაო აკადემიის თანამშრომლებს შეხვდა.

„ჩვენი მიზანია, საზღვაო აკადემიაში გავზარდოთ განათლების ხარისხი, რათა ჩვენი კურსდამთავრებულები უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდნენ დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე. აკადემიის პოტენციალი და განვითარების ტემპი გვაძლევს საშუალებას საკმაოდ ამბიციური მიზნები დავსახოთ და განვახორციელოთ... აჭარის მთავრობისა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, დღეს ჩვენი სტუდენტების დიდი ნაწილი საზღვაო პრაქტიკას გადის, რაც ამ გლობალური გამოწვევის დაძლევას მნიშვნელოვნად გვიადვილებს. გვინდა გემთმფლობელებმა საზღვაო პრაქტიკის გავლისას, ჩვენს კადეტებს გადაუხადონ ანაზღაურება. არანაკლებ მივაქცევთ ყურადღებას პროფესიული განათლების განვითარებას. ფოთის საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრში ყველა პირობა გვაქვს შექმნილი უმაღლესი კლასის სპეციალისტების მოსამზადებლად. ფოთის ფილიალის განვითარების პარალელურად, გავაძლიერებთ პროფესიული განათლების მიმართულებას ბათუმშიც. უკვე მიმდინარეობს სამუშაოები მეზღვაურთა საწვრთნელი ცენტრის სრულიად გასაახლებლად," - განაცხადა შეხვედრაზე მურთაზ დევაძემ. მანვე ყოფილ რექტორს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის.

„ბათუმის საზღვაო აკადემიის გაძლიერებაში არაერთმა ქართველმა მეზღვაურმა შეიტანა წვლილი. მათ შორისაა ყოფილი რექტორი ირაკლი შარაბიძე, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი. გპირდებით, მეტი პასუხისმგებლობით გავაგრძელებ საქმიანობას და გავაუმჯობესებ შედეგს. ჩვენი გამოწვევაა, ბათუმის საზღვაო აკადემია ვაქციოთ ერთ-ერთ საუკეთესო საზღვაო სასწავლებლად შავი ზღვის რეგიონში," - განაცხადა ახალმა რექტორმა.

ანკა ჩხიკვაძე

# მიმდინარე წელს სამინისტროს პროგრამებით ისარგებლებს 2000-ზე მეტი ბავშვი

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე პირველად 2006 წელს აღინიშნა, 2011 წლის დეკემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ გამოაცხადა და მოუწოდა გაეროს წევრ ყველა ქვეყანას, აგრეთვე მის სტრუქტურაში შემავალ სააგენტოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და სამოქალაქო სექტორის აქტივისტებს აქტიურად ჩართულიყვნენ საგანმანათლებლო კამპანიებში*

დაუნის სინდრომი 21-ე ქრომოსომის ტრისომიით (ანომალია) გამოწვეული გენეტიკური მდგომარეობაა. სწორედ 21-ე ქრომოსომის ტრისომიის უნიკალურობის ხაზგასმის მიზნით გახდა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღსანიშნავად წლის მე-3 თვის 21-ე დღე.




დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის მთავარ მიზანს წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, დაუნის სიდრომის მქონე ადამიანთა მხარდასაჭერად.

აღნიშნული დინდრომის მქონე პირები აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო და სოციალური პროგრამების ბენეფიციარები არიან.

2022 წელს გაიზარდა რეაბილიტაციის პროგრამების დაფინანსება, ბენეფიციარებისა და პროგრამებით გათვალისწინებული სეანსების რაოდენობა.

2021 წელთან შედარებით, მიმდინარე წელს ბავშვთა სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 1 120 120 ლარით და შეადგენს 3 884 800 ლარს. მიმდინარე წელს სამინისტროს პროგრამებით ისარგებლებს 2000-ზე მეტი ბავშვი. დაფინანსდება 15 900 სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის კურსი.

# მარტმა მოლოდინს გადააჭარბა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***აჭარის მთიანეთის სოფლები თოვლის საბურველშია გახვეული. 19 და 20 მარტს ინტენსიურად თოვდა. თოვლის საფარმა შუახევის, ხულოს ტერიტორიაზე ერთ მეტრს მიაღწია, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - თითქმის ნახევარ მეტრს***

თოვას, ქარბუქს პრობლემებიც მოჰყვა. ელექტროენერგიის მიწოდება შეფერხდა მაღალმთიანი აჭარის სოფლებში, დენი წყვეტილად მიეწოდებოდა დაბა ხულოსა და შუახევს.

წელიწადის ამ დროს აჭარის მთიანეთში დიდი და პატარა ბოსტანში, ყანაში, სათიბსა და ზვრებში იყო გასული. მარტი მიილია და მრავალ მევენახეს ვაზის გასხვლაც კი არ დაუწყია, ხეხილის გასხვლა-გაფორმებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

თებერვლის ბოლოს ფერმერთა უმრავლესობა კვალსათბურებში ბოსტნეულს თესდა. ახლა ძალიან მცირე ნაწილმა მოაწყო კვალსათბურები.

ყველაზე კრიტიკული პერიოდი მეცხოველეებს დაუდგათ - უხეში საკვები გამოილია, ისეთი ყინვები და უხვთოვლობაა, რომ პირუტყვის ბოსლებიდან გამოყვანაც წარმოუდგენელია. ფერმერებმა უხეში საკვები ბათუმში ან ხულოს ცენტრშიც რომ შეიძინონ, დიდთოვლობისა და გაუწმენდელი გზის გამო, ადგილზე მიტანა გაუჭირდებათ.

დეკემბრის ბოლო დღეებიდან მოყოლებული, ბათუმი-ხულოს საავტომობილო მაგისტრალის ცალკეულ მონაკვეთებზე ზვავები არ წყდება. ტრანსპორტი ხშირად შეფერხებით გადაადგილდება ხულო-დანისპარაული-ზანკების 20-კილომეტრიან მონაკვეთზე.

მარტში მოსულმა თოვლმა ისევ ჩახერგა სოფლებში მისასვლელი გზები. მექანიზატორები მათ გაწმენდას ვეღარ აუდიან.



## შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმში აჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაციის და საქართველოში მოქმედი რეგიონული კლუბების ორგანიზებით, კარატეში საერთო საქველმოქმედო ვარჯიში გაიმართა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის განცხადებით, შემოწირული თანხა უკრაინის ეროვნულ ფედერაციას გადაეგზავნება ჰუმანიტარული დახმარების სახით.

* * *

უკრაინაში მცხოვრები ქართველების სამშობლოში დაბრუნების პროცესი გრძელდება - ქუთაისის აეროპორტში რეისი ქალაქ ვარშავიდან შესრულდა. საქართველოში ჩამოვიდნენ რუსეთის აგრესიას გამოქცეული უკრაინელებიც. ბორტზე მყოფი მგზავრების თქმით, ყოველდღიურად იბომბება უკრაინის ქალაქები და სხვა საფრთხეებთან ერთად, არის ჰუმანიტარული კრიზისი.

* * *

მაღალმთიანი აჭარის მაღალი ზონის სოფლებში თოვლის საფარმა ნახევარ მეტრს გადააჭარბა. აქ მოძრაობა მაღალი გამავლობის ავტომობილებითაა შესაძლებელი. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, გაწმენდითი სამუშაოები თემებთან დამაკავშირებელ გზებზე ინტენსიურად მიმდინარეობს და თემებთან გზები უმოკლეს ვადაში აღდგება.

* * *

უკრაინელი ხალხის მშვიდობისთვის საქართველოს ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, სამშვიდობო პარაკლისი ჩატარდა. ასევე, უკრაინაში გარდაცვლილი ადამიანებისთვის სასულიერო პირებმა პანაშვიდი გადაიხადეს. სამების საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიომ წმინდა სინოდის წევრებთან ერთად აღავლინა.

* * *

ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში „ტოიტა პრიუსის" მარკის რამდენიმე ავტომობილი გატეხეს და გაძარცვეს. შემთხვევა გამთენიისას მოხდა. დაზარალებულები ამბობენ, რომ სავარაუდო მძარცველები, როგორც სათვალთვალო კამერებში ჩანს, არასრულწლოვნები არიან. ავტომობილებს დამსხვრეული აქვს მინები, საიდანაც კარის გაღებას ცდილობდნენ. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

* * *

ქობულეთის „შუქურა" ეროვნულ ლიგა ორში მოგების სერიას აგრძელებს. რევაზ გოცირიძის გაწვრთნილი „შუქურა" მეოთხე ტურის შეხვედრაში, გასვლაზე, რუსთავში ადგილობრივ კლუბს ესტუმრა და 1:3 გაიმარჯვა. ანგარიში მე-18 წუთზე შარიქაძემ გახსნა და „რუსთავმა" ტაიმი მოიგო. მეორე ნახევარში ქობულეთელებმა თამაშის შემოტრიალება შეძლეს და მეტოქის კარში 3 გოლი გაიტანეს. 4 ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, ქობულეთის „შუქურას" 12 ქულა აქვს და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძე

# „პუტინის რუსეთი – ცეცხლიანი მახვილით ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ“

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

*თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში ახალი დრამატული ეპოქა დაიწყო თავისი გამოწვევებით, რისი მაგალითიცაა უკრაინა. ამ ქვეყანაში იტესტება მსოფლიოს გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა. რუსეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად გააჩაღა ფართომასშტაბიანი ომი ევროპის კონტინენტზე, მიზანი - უკრაინის სატელიტ სახელმწიფოდ გადაქცევაა, რასაც ეს ქვეყანაც ეწინააღმდეგება და გარკვეულწილად, დასავლეთიც, ეს უკვე ცხადზე ცხადია. ომის პერიპეტიები ამის თვალსაჩინო მაგალითია, სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით საჯარო მმართველობის დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორ* ***გიგა ფარტენაძეს.***

- ექსპერტები აცხადებენ, რომ დღეს, გარკვეულწილად, უკრაინაში წყდება მსოფლიო თუ არა, ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა...

- დიდება უკრაინას! ბოლო ერთი თვის განმავლობაში ძალიან ბევრი აზრი მოვისმინეთ, უფრო მეტი საკუთარი თვალით ვნახეთ, ფაქტები კი მეტყველებს, რომ ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც ომის დაწყებამდე იყო. რუსეთის შეჭრამ უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოში დასავლური, ცივილიზებული საზოგადოება ისე გააერთიანა, მგავსი სოლიდარობა 2008, 2014 წლებში რომ ენახა რუსეთს, დღეს შეიძლება სხვა რეალობაში აღმოვჩენილიყავით, უფრო მეტიც, ომის თავიდან აცილების ალბათობაც დიდი იქნებოდა. დღეს ევროპული საზოგადოება მოწოდებებს რომ აკეთებს - უნდა დაეხმარონ ევროკავშირის არაწევრ უკრაინას ყველა შესაძლო (სამხედრო თუ ჰუმანიტარული) რესურსით, სწორედ იმას მიუთითებს, რომ მოცემულ გეოპოლიტიკურ არეალში სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და სიმშვიდეს საშიშროება ემუქრება. დღეს, ისე როგორც არასდროს, უკრაინაში წყდება, უპირველესად, ევროკავშირისა და დასავლეთის, სამომავლო მშვიდობისა და სტაბილური განვითარების საკითხები.

- **რუსეთი რომ არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, ცნობილი ფაქტია. რამდენად ელოდა დასავლეთი მის ფართომასშტაბიან აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ და რა ცხადყო თითქმის ერთთვიანმა ომმა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით?**

- მოდით, პირდაპირ ვთქვათ: რუსეთი არ ელოდა უკრაინის მხრიდან ასეთ ღირსეულ, საერთო-ეროვნულსა და მამაცურ წინააღმდეგობას და არც ასეთ საყოველთაო თანადგომას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისგან, რომლებმაც უარი თქვეს ეკონომიკური სიკეთეების მიღებაზე და უმკაცრესი სანქციები დაუწესეს რუსეთს, რაც პრეცედენტულადაც შეგვიძლია შევაფასოთ. რუსეთის ტაქტიკა ცხადზე უცხადესია: მას ჰგონია, თუ გაუვიდა 2008 წელს საქართველოსა და 2014 წელს ყირიმში შეჭრა და ტერიტორიების მიტაცება, 2022 წელსაც გაუვა - უკრაინაში. სამწუხაროა, რომ უახლესი ისტორია რუსეთის აგრესიასა და დასავლეთის რეაქციის არაპროპორციულობის მეტისმეტად ბევრ ფაქტს იტევს, თუმცა თუ გვინდა, ბოროტება დასრულდეს, ეს სწორედ დიდი და წამყვანი სახელმწიფოების აქტიური ძალისხმევით არის შესაძლებელი, რაც გამოიხატება: ეკონომიკური სანქციების დაწესებით, რათა, სულ მცირე, საგრძნობი დისკომფორტი შეექმნას რუსეთს პოლიტიკური დღის წესრიგიდან მისი - როგორც სახელმწიფოს ჩამოშორებით (სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციიდან რუსეთის გარიცხვა); სამხედრო კომპონენტით, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, უკრაინის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება-განვითარებას და, მეორე მხრივ, რუსეთის სამხედრო შენაერთების დასუსტებას ისეთი თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებსაც ფლობს აშშ, დიდი ბრიტანეთი და თურქეთი.

- **ვხედავთ, რომ თითქმის მთელი მსოფლიო გმობს რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ, დაუწესდა ეკონომიკური სანქციები. რამდენად მწვავე დარტყმაა ეს რუსეთისთვის?**

- ხშირად ვისმენთ, რომ სანქციები არ არის საკმარისი რუსეთის შესაჩერებლად, თუმცა უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს არ არის ერთადერთი გზა, თუნდაც იარაღი რუსეთის შესაჩერებლად. ქრონოლოგიას თუ მივყვებით, დავინახავთ, რომ პირველი ნაბიჯი, რაც დასავლეთმა ომის დაწყების შემდეგ გადადგა, ეკონომიკური სანქციები იყო. ფაქტობრივად, ომის დაწებიდან ყოველ ახალ დღეს აშშ-ის



პრეზიდენტი სანქციებს აფართოებს და წერტილოვან დარტყმებს აყენებს რუსეთის ეკონომიკას. გარდა ამისა, ვხედავთ სამხედრო (საბრძოლო იარაღის) დახმარების პრეცედენტებსაც, რაც წინა შემთხვევებში არ მომხდარა. დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით შედეგს დღესვე არ უნდა ველოდოთ - ეფექტი გრძელვადიან პერსპექტივაში ექნება.

- **რამდენად ელოდა რუსეთის ელიტა ამ მასშტაბის ეკონომიკურ სანქციებს და უკრაინის მხარდაჭერას დასავლეთის მხრიდან?**

- ომის დაწყებამდე მედვედევის განცხადებას შეგახსენებთ, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში რუსეთმა იცის, რა სანქციებს დააკისრებს მას დასავლეთი და ამისთვის მზადყოფნას გამოთქვამდნენ, თუმცა აღმოჩნდა, რომ ასე არაა, რადგან 2008 წელს - საქართველოში, 2014 წელს - ყირიმში რუსეთის აგრესიის საპასუხოდ გატარებული სანქციები ზღვაში წვეთი იყო იმასთან, რასაც დღეს პუტინის პოლიტიკა იმკის. უფრო მეტიც, რუსეთის ელიტა - ოლიგარქები, ტელევიზიის წამყვანები, მომღერლები... ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათ ეს სანქციები შეეხებოდათ, თუმცა აქაც მწარედ შეცდნენ. დღეს პუტინის რუსეთი მთელი ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ ცეცხლიანი მახვილით დგას, რომელსაც თავისი ნებასურვილით ატრიალებს. დროა, ამ ბოროტებას პასუხი გაეცეს და წერტილი დაესვას.

- **ალაპარაკდნენ რუსეთის დანაშაულებებზე უკრაინაში. აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა. ეს რისი მანიშნებელია?**

- დიახ, დღეს პუტინის რუსეთი არის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრის და კონფლიქტის გამღვივებელი, ყველა იმ ბოროტებისა და ანტიჰუმანური ქმედებების ინიციატორი, რაც ხდება უკრაინის ტერიტორიაზე... დიახ, დღეს პუტინის რუსეთი არის აგრესორი და სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის დამრღვევი... ამ ყველაფერს იურიდიულად გაფორმება ესაჭიროება, რასაც, დარწმუნებული ვარ, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში აუცილებლად მოვისმენთ.

- **უკრაინამ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა, მანამდე კი ამ სასამართლომ ქართული მხარე პრაქტიკულად გაამართლა 2008 წლის ომის საკითხში, რას ფიქრობთ?**

- ყველას კარგად გვახსოვს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის მხრიდან ჩვენი ქვეყნის ინტერვენციის შედეგად 126 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი, 224 დაღუპული (სამხედრო დანაკარგის გარეშე), 2 ათას 300-მდე დაჭრილი ან დაშავებული ადამიანი. შემდეგ იყო საქართველოს გამარჯვება ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში, სადაც რუსეთი დამნაშავედ ცნეს. აღსრულების ნაწილზე შეგვიძლია ვიდავოთ, თუმცა მსგავსი გადაწყვეტილებები უდიდესი გამარჯვებაა ჩვენისთანა ქვეყნისათვის. რაც შეეხება უკრაინას, დარწმუნებული ვარ, აქაც სამართალი იზეიმებს და საქართველო უკარიანასთან და ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად დარჩება ისტორიის მართალ მხარეს.

- **ამას წინათ თქვენს პოსტში პუტინი ჰიტლერს შეადარეთ. მსგავსი შეფასებები უკვე ისმის საერთაშორისო მასმედიაშიც...**

- უკრაინაში რუსეთის პირდაპირი აგრესიის შემდეგ, მედიასა თუ სოციალურ ქსელებში ხშირად ვხვდებით Z ასოს, რომელსაც რუსეთი იყენებს თავისი სამხედრო ძალების სიმბოლოდ. Z - ტანკებზე, ჯავშანტექნიკაზე, გულმკერდზე... მაინც, რატომ აირჩია პუტინმა Z სიმბოლოდ? სანამ ამას ვუპასუხებდეთ, მეორე კითხვა დავსვათ - რატომ აირჩია ჰიტლერმა სვასტიკა სიმბოლოდ? ისტორიულად ვიცით, რომ სანსკრიტზე სვასტიკას „ფუტკრების არმია“ ჰქვია. სწორედ ამ დროს გერმანელმა ნაციონალისტებმა დაიწყეს სვასტიკის გამოყენება როგორც სიმბოლოსი, რომელსაც ჰქონდა არიანული/ინდური წარმომავლობა. ამით გერმანელებს უნდოდათ, წარმოედგინათ და წინა პლანზე წამოეწიათ გერმანულ/არიანული წარმომავლობა და, შესაბამისად, ერის განსაკუთრებული დანიშნულება... ნაცისტური დროშიდან გამომდინარე, სულ მალე სვასტიკა გადაიქცა სიძულვილის, ანტისემიტიზმის, ძალადობისა და სიკვდილის სიმბოლოდ. პუტინის ყოველი საჯარო გამოსვლა იწყება და სრულდება რუსეთის სახელმწიფოსა და ერის განსაკუთრებულობის ხაზგასმით, უფრო მეტიც - რუსი „სელებრიწები“ იმასაც კი აძახებენ მსოფლიოს, რომ ანტარქტიდა და კორონავირუსის ვაქცინაც მათი აღმოჩენილია... დავუბრუნდეთ პირველ კითხვას. პასუხი აქვეა: სიმბოლო არის? არის - Z; იდეა „განსაკუთრებულობის“ შესახებ ემთხვევა? დიახ, ემთხვევა; მმართველობის სტილი - იდენტური.

- **ვხედავთ, რომ დასავლეთი შეძლებისდაგვარად ეხმარება უკრაინას, თუმცა ნატო იქ შეიარაღებული ძალების გაგზავნას არ აპირებს და არც უკრაინის ცას კეტავს...**

- აღნიშნულ საკითხზე ბევრი სპეკულაცია მოვისმინეთ. მორალური და ადამიანური თვალსაზრისით ეს, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია, ხოლო პოლიტიკურ და სამართლებრივ ჭრილში თუ შევხედავთ, დასავლეთს არ გააჩნია მოცემული საკითხის იმპლემენტირების პროცესის დაწყების საფუძველი.

- **ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ სანქციები, მინიმუმ, რამდენიმე თვე გაგრძელდება, რუსეთი კატასტროფის წინაშე დადგება...**

- წარმოიდგინეთ, ბოლო 10 წლის განმავლობაში აკეთებდით დანაზოგს და უცებ მის შესავსებად განკუთვნილი გზა/ხერხი დაიბლოკა, ჩაიკეტა. ჩვენ შეგვიძლია ინერციით გარკვეული პერიოდი გავაგრძელოთ აღნიშული დანაზოგით ცხოვრება, თუმცა ერთ დღესაც ის აუცილებლად ამოიწურება და აღმოვჩნდებით გადაუჭრელი პრობლემების პირისპირ.

- **აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების პოზიციამ უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით. თქვენ რას ფიქრობთ?**

- არსებობს საკითხები, სადაც არ უნდა ვეძებოთ მომხრეები და მოწინააღმდეგეები, პოზიციის და ოპოზიციის დამოკიდებულებები, მტყუანი და მართალი - დიახ, საუბარი მაქვს ქვეყნის და ეროვნულ ინტერესზე და სწორედ უკრაინის საკითხია დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ეროვნული ინტერესის მატარებელი - იქ, სადაც საზოგადოება გაუტეხლად და გააზრებულად ერთიანია, არის ქვეყნის ეროვნული ინტერესი.

- **დაბოლოს, რა გავლენა ექნება ამ ომის შედეგებს მსოფლიოზე და, მათ შორის, საქართველოზე?**

- რამდენიმე სცენარი განვიხილოთ. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გაიმარჯვებს ამ ომში, რისიც ნაკლებად მჯერა, პუტინის რუსეთის კლანჭები და აგრესია ერთი-ორად გაიზრდება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი დასავლური და ცივილიზებული საზოგადოების მიმართ. გაჩნდება უიმედობისა და ნიჰილიზმის ახალი კერები და, რაც ყველაზე სამწუხაროა, განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოებისთვის დასავლეთის მხრიდან დაუცველობის განცდას გააღვივებს, რაც, პირდაპირ ვთქვათ, დაასუსტებს დასავლურ გავლენას. უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში ეს იქნება პუტინის რუსეთისათვის იმპერიალისტური ზრახვების დასასრულის დასაწყისი. მას დომინოს ეფექტი ექნება მთელს კავკასიის რეგიონში. თუ პუტინი დამარცხდება, ის პოზიციებს დაკარგავს უკრაინაშიც, საქართველოშიც, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შეიცვლება მოცემულობა, გარდამტეხი პროცესები დაიწყება ბელარუსში, მოღვაწეობას დაასრულებს ჩეჩნეთის პრეზიდენტი - კადიროვი, ფაქტობრივად კავკასიის რეგიონში არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა, სადაც პუტინის გავლენა ძალიან მაღალია, ჯერ დასუსტდება, დასრულდება და შემდგე მათი მმართველობა ახალ რელსებზე გადავა. სწორედ ამიტომ, პუტინის რუსეთი ამ ომში უნდა დამარცხდეს. გმირებს - დიდება!

## უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი პოლონეთში ვიზიტს გეგმავს, რომლის დროსაც იგი პოლონელ კოლეგასთან უკრაინა-



ში სამშვიდობოების შეყვანის საკითხს განიხილავს. გაეროში აშშ-ის ელჩმა ლინდა თომას-გრინფილდმა განაცხადა, რომ სამშვიდობო კონტინგენტში ამერიკელი ჯარების მონაწილეობა ნაკლებსავარაუდოა, თუმცა ის მხარს დაუჭერს ნატოს მოკავშირეებს, რომლებიც მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჯო ბაიდენი ანჟეი დუდას პარასკევს შეხვდება. ვარშავაში ჩასვლამდე კი ბრიუსელს ეწვევა, სადაც ნატოს მოკავშირეებთან, ასევე „დიდი შვიდეულისა“ და ევროკავშირის ლიდერებთან გამართავს შეხვედრებს.

* * *

ჩინეთის წითელი ჯვარი, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, უკრაინას 1 572 000-მდე დოლარს გამოუყოფს. გამოცემა „უნიანის“ ინფორმაციით, უკრაინისთვის ფინანსური დახმარების სურვილი გამოთქვა ახალმა ზელანდიამაც. ქვეყანის პრემიერ-მინისტრმა ჯასინდა არდერნმა განაცხადა, რომ არალეტალური იარაღისთვის უკრაინას 3,5 მილიონ დოლარს გამოუყოფენ. როგორც ცნობილია, 15 მარტს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ხელი მოაწერა კანონს უკრაინის სამხედრო, ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარების მიზნით 13,6 მლრდ დოლარის გამოყოფის შესახებ, საიდანაც 6,5 მლრდ დოლარს, უკრაინის თავდაცვითი აღჭურვილობისთვის, შტატების თავდაცვის სამინისტრო მიიღებს.

* * *

უკრაინელების 74 პროცენტი მხარს უჭერს ქვეყნის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შორის პირისპირ მოლაპარაკებებს ომის შეწყვეტის თაობაზე, - ამის შესახებ საუბარია 18 მარტს სოციოლოგიურ ჯგუფ „რეიტინგის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებში. ზემოაღნიშნულ მოლაპარაკებებს გამოკითხულთა მეოთხედი მხარს არ უჭერს. ამავდროულად, უკრაინიდან რუსული ჯარების გაყვანის გარეშე, დროებით შეთანხმებაზე ხელმოწერა მიუღებელია გამოკითხულთა 89 პროცენტისთვის. 90 პროცენტს სჯერა გამარჯვების, ხოლო 70 პროცენტი ემხრობა უკრაინის ნატოში ინტეგრაციას.

* * *

რუსეთის ნავთობზე ემბარგოს დაწესება ძალიან რთული თემაა, რადგან ეს მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა აღნიშნულის შესახებ „როიტერის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე საუბრისას. „ეს არ ეხება აშშ-ს და თავს ბევრად უკეთ იგრძნობს, ვიდრე ევროპელები. ევროპელებისთვის რთული იქნება. სავარაუდოდ, ეს სწორედ ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც ყველას დაარტყამს“, - დასძინა პესკოვმა.

**მოამზადა ია შველიძემ**

# მამუკა არეშიძე: ექსპერტთა რჩევა არ გაითვალისწინა ოფიციალურმა მოსკოვმა და თავი ხაფანგში შეყო

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*გთავაზობთ ინტერვიუს ანალიტიკოს **მამუკა არეშიძესთან.***

**- უკრაინა-რუსეთის ომში რომელ მხარეს აქვს უპირატესობა ამ ეტაპზე?**

- დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ უკრაინა ვერ იგებს, რუსეთი კი არ აგებს. ამჟამად ასეთია მოცემულობა, თუმცა ამ სიტყვების უკან იმალება უამრავი მსხვერპლი, უზარმაზარი მატერიალური თუ სახელმწიფო დანაკარგები. უკვე კარგად გამოჩნდა, რომ უკრაინელებმა შეუძლებელი შეძლეს, ის, რაც აქამდე ვერავინ გააკეთა. ამჟამად ისინი იბრძვიან ყველასთვის. აქ რუსეთთან თანაბარ ბრძოლაზე არ არის ლაპარაკი - ვგულისხმობ ერის გაერთიანებას. აქვე აღვნიშნავ, რომ უკრაინელებს თუ რამე გააერთიანებდა, პირადად მე და ამ პროცესის ბევრ დამკვირვებელს, ვერც კი წარმოგვედგინა. კარგად ვიცნობ უკრაინელებს და ვიცი საზოგადოებაში არსებული პოლიტიკურ-კლანური წინააღმდეგობები. ძალიან მოკლე დროში მოახერხეს უკრაინელებმა, შეექმნათ ეგრეთ წოდებული სახელმწიფო ნაციონალიზმი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრად მაღლა დგას ეთნიკურ ნაციონალიზმზე. ეს სერიოზული გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის, პრაქტიკულად, ახალი ნარატივია და ევროპა ყურადღებით უნდა მოეკიდოს იმას, რაც უკრაინაში ხდება - უკრაინელი ხალხის კონსოლიდაციას ვგულისხმობ.

**- ყურადღებითაც ექცევა კოლექტიური დასავლეთი უკრაინელებს და მხურვალე ოვაციებსაც არ აკლებს, თუმცა ჯერ კიდევ ვერ თუ არ მოხერხდა ცის ჩაკეტვა, რის გამოც მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება.**

- ასე ზედაპირულად მაინც ნუ ვილაპარაკებთ. მართალია, დასავლეთს ცოცხალი თავით არ უნდა გამოსვლა კომფორტის ზონიდან, რაც იქაური მოსახლეობისთვის ძალიან რთულია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დასავლეთის საზოგადოებამ შეცვალა დამოკიდებულება, მიდგომები. საკუთარი ხელისუფლებებისგან აქტიურად და კატეგორიულად ითხოვს, დაეხმაროს უკრაინას, რადგან იგივე საზოგადოების და პოლიტიკური ელიტის ნაწილი მიხვდა - შემდეგი თავად იქნება. მოდით, ცივი გონებით შევხედოთ ყველაფერ ამას. რიგით ევროპელს, რომელიც ცხოვრობს სადღაც ესპანეთში ან თუნდაც - ავსტრიაში, ურჩევნია, უკრაინაში დამთავრდეს რუსეთი, ვიდრე იქ გაიმარჯვოს და მერე მათ მიადგეს. სამწუხაროდ, ეს არის თანამედროვე პოლიტიკური ცინიზმი ანუ თავად პოლიტიკაა ცინიკური. მსგავსი მიდგომა პრაგმატულად ითვლება დღეს და ამიტომ არ მიკვირს, როდესაც ამ ტექსტებს აჟღერებენ დასავლელი პოლიტიკოსები. ეს ერთი და მეორე ის, რომ „შეშფოთება-აღშფოთებას“ გამოხატავენ ტრიბუნებზე, პრაქტიკულად კი ყველაფერს აკეთებენ უკრაინის სამხედრო პოტენციალის გასაძლიერებლად.

**- კი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უკრაინის ჯარის რესურსები - როგორც მორალური, ისე სამხედრო, იწურება მაშინ, როდესაც რუსეთი ახალ ძალებს აწვდის საკუთარ არმიას.**

- პრაქტიკულად, ამ ეტაპზე, უკრაინას აქვს შესაძლებლობა, 500 ათასი მეომარი შეაიარაღოს. მართალია, ეს არ არის კლასიკურად გაწვრთნილი ჯარი, მაგრამ მომზადებულია შესაბამისი ბრძოლისთვის, შეუდარებელია მობილურობით, შემართებით და, რაც მთავარია, სულისკვეთებით, ანუ დღეს ევროპამ აღმოაჩინა, რომ უკრაინული არმია ყველაზე ძლიერია პოტენციურად, რადგან სწორადაა გაწვრთნილი, აწარმოებენ არა ფრონტალურ, არამედ შემხვედრ ბრძოლებს (ასეთი ტერმინია), დიდი ჯგუფებით ანადგურებენ მტერს. უკრაინელების ტაქტიკა რუსეთისთვისაც მოულოდნელი იყო, ამიტომ დონეცკის და ლუგანსკის ოლქების სრული ოკუპაციაც ვერ მოახერხეს - იქ ახლაც მიმდინარეობს ბრძოლები, ისევე როგორც მთელი უკრაინის ტერიტორიაზე - სამხრეთით, ცენტრალურ ნაწილში და ჩრდილოეთით. ომების ისტორიის მიხედვით ვიცით, რომ დამპყრობელი იკავებს რაღაც სივრცეს, ქალაქებს და მიიწევს ცენტრისკენ - დედაქალაქის დასაპყრობად. პრინციპში, რუსეთმა ვერცერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ვერ აიღო, ხერსონს თუ არ ჩავთვლით.



**- მარიუპოლშიც ხომ შევიდნენ?**

- შევიდნენ, მაგრამ ბოლომდე ვერ დაიპყრეს.

**- ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ზელენსკიმ უკრაინის ტერიტორია ნატოს და რუსეთის ომის პოლიგონად აქცია და საკუთარი ხალხი გაწირა.**

- ამაზე რუსი ექსპერტების აზრიც შემიძლია შემოგაგებოთ - უკრაინის ტერიტორია რუსეთმა გამოიყენა დასავლეთთან დაპირისპირებისთვის. ეგონა, შედეგს სწრაფად მიიღებდა, მაგრამ ვერ მიიღო. გენერალ გერასიმოვის გეგმა აღმოჩნდა კრახის ტოლფასი და რუსეთი წირავს მატერიალურ, სამხედრო და ადამიანურ რესურსებს დასავლეთთან უაზრო ბრძოლას.

**- მოდით, ყველაზე ცუდი სცენარი წარმოვიდგინოთ - რუსეთმა გაიმარჯვა... დასავლეთის სანქციები მოეხსნება?**

- მოდით, ასე ვთქვათ: გამარჯვებულიც კი, რუსეთი ეკონომიკურად დამარცხებული იქნება.

**- და რად უღირს გამარჯვება?**

- უკან დასახევი გზა თავად პუტინმა მოიჭრა. საღად მოაზროვნე რუსი ექსპერტების ნაწილი, ვინც უკრაინაში შეჭრის მომხრე იყო, ამბობდა: არ ღირს, გავცდეთ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებს. არ უშვებდნენ ომს უკრაინასთან, მაქსიმუმ, თუ შევუხვევთ, მარიუპოლი-ოდესისკენო. დავანებოთ თავი ხარკოვს, კიევს, დანარჩენ ყველაფერს. მთავარია, ამ ოლქების (დონეცკის და ლუგანსკის) „ტერიტორიული მთლიანობის“ აღდგენა. თუ აუცილებელი დარჩა, სამხრეთისკენ გავიჭრათ, ბუფერი შევქმნათ ყირიმის ნახევარკუნძულსა და ცენტრალურ უკრაინას შორის. ექსპერტთა ეს რჩევა არ გაითვალისწინა ოფიციალურმა მოსკოვმა და თავი ხაფანგში შეყო. მართლა ხაფანგია, გამარჯვების შემთხვევაშიც კი მძიმე დარტყმა მიადგება რუსეთს. აქ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია: მხოლოდ ეკონომიკის ვარდნაზე არ არის საუბარი, უნდა გავითვალისწინოთ ფსიქოლოგიური ფაქტორიც. რუსეთში დიდი გავლენით სარგებლობენ მართლმადიდებელი ორგანიზაციის წევრები. მათ შორის არიან ძალიან მდიდარი ადამიანები - „რუბლიოვკის“ მცხოვრებლები. მათთვის დიდი დატვირთვა აქვს რუსეთის ძლიერებას და გამარჯვებას, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებელია კიევის - მათი ცივილიზაციის და იდეოლოგიის საწყისის დაბომბვა. ჩვენამდე არ მოდის ის წინააღმდეგობები, რაც ხდება მოსკოვსა და მთელ რუსეთში კიევის დაბომბვის გამო. საქმე იქამდე მივიდა, რომ კრემლის ერთ-ერთ ცნობილ ჩინოვნიკს სილა გააწნა ამათმა წარმომადგენელმა - ერთი ბომბიც რომ ჩამოვარდეს კიევის და პეჩორის ლავრაში, დამთავრებულია თქვენი საქმეო. ამით იმის თქმა მინდა, ჩვენ შორიდან ვხედავთ, ვაფასებთ, გვესმის, სინამდვილეში როგორც მოსკოვში, ისე კიევში მნიშვნელოვანი ქვედა დინებებია. სამხედროებსა და ზელენსკის შორის იყო საკმაოდ სერიოზული უთანხმოება მარიუპოლთან დაკავშირებით. აქ არ მინდა ფრჩხილები გავხსნა, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომლის ფრაგმენტებსაც გეუბნებით. ანუ ისე მარტივად არ დგას საქმე, როგორც ჩანს, რომ „ისინი“ ერთად არიან, მეორე მხარე კონსოლიდირებულია, ევროპა „შეშფოთებას“ გამოხატავს და ასე შემდეგ. იგივე ევროპამ იმდენი იარაღი მიაწოდა უკრაინას, იქაური მებრძოლები მეუბნებიან - სად წავიღოთ, არ ვიცითო.

**- ცოცხალი ძალა?.. საზარბაზნე ხორცად იყენებენ უკრაინელებსო...**

- ცოცხალი ძალითაც ეშველებიან დასავლეთის ქვეყნები. იმდენია ჩასული, ვერც კი წარმოიდგენთ, მართლაც დიდი ციფრი შემიძლია დაგისახელოთ. მართალია, ამათი ნაწილი უკანვე გამოიქცა, რადგან ურთულესი ბრძოლები ყოფილა, მაგრამ ის 7-8-12 ათასი კაცი, რომელიც სხვადასხვა სამხედრო ფორმირებიდან დარჩა (მოხალისეები ან რაც გინდათ, ის დაარქვით), უაღრესად სერიოზული ძალაა. ჩვენი ორი სამხედრო რომ დაიღუპა, თუ მიაქციეთ ყურადღება, იქვე ფრანგიც დაიჭრა... ის ფრანგი არ იყო რიგითი მებრძოლი, მაგრამ არ მინდა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება.

**- მთელ ამ სიტუაციაში რა გვემუქრება ჩვენ? დამარცხდება თუ გაიმარჯვებს, რუსეთი მაინც „გამოგვივლისო“ .**

- მოსკოვში ასეთი განწყობაა: სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს, ანუ რადგან მაინც დისკრედიტირებული ვართ, მოდით, ბარემ საქართველოც და მოლდოვაც მივაყოლოთო. ის, რომ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის მოწყვეტა უნდოდათ, ბალტიისპირეთის გარდა, ეს გამოჩნდა კიდეც, გახსოვთ, როგორ „დაუწვა“ ლუკაშენკო უცებ, ან როგორ ჩაფრინდა ალიევი და სასწრაფოდ მოაწერა ხელშეკრულებას ხელი? ინფორმირებული იყვნენ და იცოდნენ, რუსეთი რას აპირებდა. თავისი ლოგიკით, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია აბსოლუტურად სწორია, მაგრამ გამოხატვის ფორმასთან დაკავშირებით მაქვს სერიოზული შენიშვნები და ამაზეც არ მინდა დიდხანს ლაპარაკი. საჭიროა იმაზე ბევრად მოქნილი, დიპლომატიური მიდგომები, ვიდრე სამთავრობო ტრიბუნებიდან ისმის. აქ სიფრთხილეა მნიშვნელოვანი, ისეთი მომენტია, შეიძლება გაილანძღო, მაგრამ საბოლოოდ ისტორია განსჯის, ვინ იყო მართალი და ვინ - მტყუანი.

**- მთავრობის სიფრთხილეს და გონივრულ პოზიციას ბევრი აღნიშნავს.**

- კი, მაგრამ აზრის გამოხატვის ანალოგიური ფორმაც უნდა გამოიყენო, არ თქვა ისეთი რამ, თავად რომ შეგიშლის ხელს პარტნიორებსა და მეგობრებთან ურთიერთობაში. შინაარსი ერთია, ფორმა - სხვა.

**- რუსეთ-უკრაინის შეთანხმება საით მიდის, რას მოითხოვენ მხარეები?**

- საქმე მართლაც შეთანხმებამდე მიდის. უკრაინამ უკვე გაამჟღავნა, რომ თანახმაა ნეიტრალიტეტზე, ოღონდ სერიოზული გარანტიებით. ანუ თუ ვინმე დაემუქრება უკრაინის საზღვრებს, გარანტორები უნდა ჩაებან ომში მის მხარეს.

**- თანამეგობრობის ქვეყნებთან კავშირის შეკვრაზეც ხომ არის საუბარი?**

- სხვადასხვა ვარიანტი განიხილება, მაგრამ მთავარი ეს პოსტულატია, რომელიც ახლა ვთქვი. ამაზე შესაძლებელია შეთანხმება, მაგრამ ძირითადი ხაზი მაინც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას გასდევს, რაც ნიშნავს დონეცკის და ლუგანსკის უპირობოდ დაბრუნებას და კამათს - ყირიმისთვის.

**- რუსეთი ამას არ დათანხმდება.**

- დიახ, ეს რუსეთს ხელს არ აძლევს. მხოლოდ მაშინ დათანხმდება მოსკოვი პრეზიდენტების შეხვედრას, როდესაც ომში პოზიციებს გაიმყარებს, აიღებს რამდენიმე მსხვილ ქალაქს, მაგალითად, ნიკოლაევსა და ხარკოვს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერაფერი მოუხერხეს.

**- ხმა გავრცელდა, პოლონეთის პრემიერი სააკაშვილის გასათავისუფლებლად ჩამოვიდაო.**

- არ ვიცი, შესაძლოა, რაღაც ითქვა ამ თემაზე, ნიადაგი მოსინჯეს, მაგრამ გარწმუნებთ, პოლონეთის პრემიერი ამისთვის არ ჩამოსულა. ისევე როგორც ბრიტანეთმა, პოლონეთმაც დაიწყო ნატოს მიღმა საკუთარი თამაში. ეს გულისხმობს ახალი ტიპის ალიანსების შექმნას, რადგან ნატო გარკვეულწილად ამოიწურა. ამ სამხედრო ალიანსში ვერ იღებენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რაც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, იგივე უკრაინასა და საქართველოს. პოლონეთს თავისი ინტერესები აქვს: უნდა, მასსა და რუსეთს შორის ნატოს წევრი ბუფერი ქვეყანა იყოს და გასაგებია მისი მისწრაფება ამ თვალსაზრისით. ნატოსთან ეს არ გამოდის, ამიტომ იქმნება ახალი სამხედრო ალიანსები, ბრიტანეთთან ერთად ამიტომ შეკრეს კავშირი. მართალია, ეს არ არის სამხედრო ურთიერთდახმარების ალიანსი, მაგრამ სამხედრო თანამშრომლობის - არის. გარდა ამისა, ოფიციალურ ვარშავას მობეზრდა გაუთავებლად პოზაში დგომა და გადაწყვიტა, თავად გააააქტიუროს პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში. მორავიეცკის ვიზიტიც ამასთან იყო დაკავშირებული, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ეს იყო.

**- რა გველის ომის დასრულების შემდეგ?**

- მიჭირს ამაზე ზუსტი პასუხი, სანამ არ გამოიკვეთება გამარჯვებული. რუსეთის დამარცხების, თუნდაც დიპლომატიური მარცხის შემთხვევაში, საკმაოდ შორს გადაიდება საქართველოსთან ანგარიშსწორება. თუ რუსეთმა სახე შეინარჩუნა, ამ შემთხვევაშიც დასავლეთის მხრიდან გარანტირებული იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება. მხოლოდ რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში დაგვიდგება მძიმე დღეები, თუმცა ეს ყველა ვარიანტში სავარაუდოა - ძალიან მიბმული ვართ ამ ორი ქვეყნის ეკონომიკაზე და უკრაინაც და რუსეთიც მწვავე მდგომარეობაში რომ აღმოჩნდებიან, ეს უტყუარი ფაქტია. აქედან გამომდინარე, ჩვენი სიტუაციაც დამძიმდება, რაც უნდა იცოდეს საქართველოს მოსახლეობამ.

**- დაბოლოს, თუ შეიძლება, შეაფასეთ ოპოზიციის ქმედებები?**

- რა გითხრათ, ოპოზიციაში არიან ადამიანები, რომლებიც გაუცნობიერებლად აკეთებენ სხვის საქმეს და არიან ისეთებიც, რომლებსაც ამას ავალებენ. ავიღოთ თუნდაც ის დაჩემება, ზელენსკი ჩაგვერთოს და სიტყვით გამოვიდეს საქართველოს პარლამენტშიო. კი, ბატონო, გამოვიდეს და თავისი სათქმელი თქვას, მაგრამ იმ ფორმით, როგორც ეს გააკეთა ოპოზიციამ, პირადად ჩემთვის მიუღებელია. ეს იდეა თავიდანვე საჯაროდ გამოიტანეს მთავრობის კიდევ ერთხელ დისკრედიტაციის მიზნით. ხომ შეიძლებოდა, თავიდანვე შეეთანხმებინათ პარლამენტის თავმჯდომარესთან და მხოლოდ უარის შემთხვევაში აეტეხათ ყვირილი? აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ რადიკალური ოპოზიციის ყველა თემა არსებული ხელისუფლების დისკრედიტაციაზეა გათვლილი. ერთი მხრივ, ითვლება, რომ ოპოზიციის საქმე ეს არის, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ეტაპზე ეს ქმედებები იწვევს თავად ქვეყნის დისკრედიტაციას, რის გამოც რადიკალური ოპოზიცია უკვე მიუღებელი ხდება. დამთავრდა, ამოიწურა ამით ყველაფერი. ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც სხვაგვარად ფიქრობს ან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დღის წესრიგსაა აყოლილი ან მოწყვეტილია, გათიშულია აქტიური მოქმედებებისგან. ჩემთვის ეს მიუღებელია კიდევ იმიტომ, როდესაც თავად ვიყავი ოპოზიციაში, თუკი რომელიმე ლიდერი ხელისუფლების კრიტიკით დასავლეთის თვალში ქვეყნის იმიჯს დააზარალებდა, ვეწინააღმდეგებოდი. მახსოვს, სატელევიზიო გადაცემაში ჟირინოვსკისთან ჰქონდა დიალოგი ხაინდრავას და სააკაშვილის გინება რომ დაიწყო, გოგა აქედან დაეტაკა - ჩემი პრეზიდენტია, შენ რატომ აგინებო... ახლა არ არის ამაზე ლაპარაკის დრო, თორემ ობიექტურად რომ გითხრათ, უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი ნაბიჯი ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ამაზე აღარ შევჩერდები, მაგრამ ვთვლი, რომ ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი, იმდენად მოექცნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი კადრების გავლენის ქვეშ.

*„ძალიან მოკლე დროში მოახერხეს უკრაინელებმა, შეექმნათ ეგრეთ წოდებული სახელმწიფო ნაციონალიზმი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრად მაღლა დგას ეთნიკურ ნაციონალიზმზე. ეს სერიოზული გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის, პრაქტიკულად, ახალი ნარატივია და ევროპა ყურადღებით უნდა მოეკიდოს იმას, რაც უკრაინაში ხდება - უკრაინელი ხალხის კონსოლიდაციას ვგულისხმობ*

# „მუდმივად ვსწავლობ, რომ ვასწავლო“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ხულოს 53 საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სკოლაში 1200-მდე პედაგოგი მუშაობს. მათგან ღურტის საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი* ***მზია კახაძე-იაკობაძე*** *პირველია, რომელმაც მენტორი მასწავლებლის წოდება მოიპოვა. იგი „აჭარის“ სტუმარია.*

**- ქალბატონო მზია, აღიარება, მენტორი მასწავლებლის წოდების მოპოვება ენერგიულ შრომას, ძიებას ითხოვს...**

- მენტორის სტატუსამდე იოლი გზით არ მივსულვარ, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ნებისმიერ სფეროში, წარმატების ერთადერთი საფუძველი მუდმივი და თავდაუზოგავი შრომაა. რაც შეეხება გზას პრაქტიკოსობიდან მენტორობამდე, იგი 2015 წელს დაიწყო, როდესაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ამოქმედდა და კოლეგებმა ფასილიტატორად ამირჩიეს. მაშინ ყველაფერი ახლად ინერგებოდა და ბუნებრივია, უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა იყო. ალბათ, ამიტომ, ჩემი ფასილიტაციის სფერო მალევე გასცდა ჩვენი სკოლის ფარგლებს, ჯერ მეზობელი სკოლების, შემდეგ მუნიციპალიტეტისა და გარკვეული დროის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სკოლების პედაგოგების დაკვალიანებაც მიწევდა - როგორ დაეგეგმათ და განეხორციელებინათ კარიერული წინსვლა. მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კითხვებზე მიწევდა პასუხის გაცემა და რჩევის მიცემა. იმდენი ადამიანი მომმართავდა, რომ გადავწყვიტე, სოციალურ ქსელში შემექმნა დახურული ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანდებოდა ყველა პედაგოგი, ვისაც დახმარება სჭირდებოდა და ერთიან სივრცეში გავუწევდი კონსულტაციას. ამ მიზნით, მე და ჩემმა მეგობარმა, ქუთაისის 36-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ნატალია თურქაძემ შევქმენით „მოტივირებულ პედაგოგთა კლუბი“, რომელშიც დღესდღეობით 49000-ზე მეტი პედაგოგია გაწევრიანებული და ყველა სიახლეს დღემდე ერთად ვეცნობით. მართალია, ძალზე რთულია, დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს კვალიფიციურად უპასუხო უამრავი კოლეგის შეკითხვას, დაეხმარო დაშვებული შეცდომის გამოსწორებაში, მიუთითო სწორი გზა, მაგრამ ვგრძნობ, რომ მენდობიან, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. გარდა იმისა, რომ ჯგუფს მე თვითონ ვუწევ დახმარებას მუდმივ რეჟიმში, ასევე, ვმართავ შეხვედრებს, ვებინარებს, ვიწვევთ ტრენერებს, ჯგუფის როლი განსაკუთრებით გაიზარდა COVID-19-ის პანდემიისაგან გამოწვეული სირთულეების დროს. როდესაც სასწავლო პროცესი მთლიანად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე, ვატარებდით შეხვედრებს, რომ მასწავლებლები დაუფლებოდნენ ონლაინ სასწავლო პლატფორმებს. სურვილი გამოითქვა და თითქმის ერთი წელია აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში, ჩართულები ვართ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, ორგანიზებას ვუწევ ყოველკვირეულ შეხვედრებს სამინისტროს საგნობრივ ექსპერტებთან. უკვე მჭიდრო კავშირი არსებობს მასწავლებლებსა და სამინისტროს ექსპერტებს შორის. მათი დახმარებით, ბევრი სირთულე დაძლიეს პედაგოგებმა პილოტირების პროცესში, რომელიც საკმაოდ პოზიტიურ გარემოში მიმდინარეობს. გარდა ამისა, შეისწავლეს ჩემი საქმიანობა ადგილობრივ დონეზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურმა კომისიამ გამოკითხა მშობლები ჩემი საქმიანობის შესახებ, ესაუბრა სკოლის დირექტორს, კოლეგებს და, რა თქმა უნდა, მეც. მოკლედ რომ ვთქვათ, სრულად შემამოწმეს და უმაღლესი სტატუსი მომანიჭეს.

**- საოცარი ბიოგრაფია გაქვთ - ნაადრევად დაოჯახდით, 28 წლისამ უმაღლესი განათლება მიიღეთ უცხო ენის სპეციალობით, 17 წელია კი კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლით. ამ საგნის ზედმიწევნით ათვისება დამატებით მუშაობას საჭიროებდა. ამასთან, ორი შვილის დედა, ორი შვილიშვილის ბებია ხართ. როგორ უთავსებთ ამას ერთმანეთს?**

- მაღალმთიან სოფელში ცხოვრება იოლი არაა, აქ არსებობა მხოლოდ დიდი ძალისხმევითა და მძიმე ფიზიკური შრომით არის შესაძლებელი. თუმცა არჩევანის წინაშე - ოჯახი თუ კარიერა, არასდროს დავმდგარვარ. საბედნიეროდ, ორივეს გავართვი თავი, რადგან ორივე უსაზღვროდ მიყვარს. როცა გიყვარს, მოტივაციაც გაგაჩნია, მთავარი ეს არის. არასდროს არაფერს შეუშლია ხელი მეზრუნა პროფესიულ განვითარებაზე და არამარტო საკუთარზე. შეუძლებელი არაფერია. ზოგჯერ მეც მიკვირს, როგორ ვასწრებ ამდენს, ვფიქრობ, როგორც კარგ პედაგოგს სჩვევია, დროს ვანაწილებ სწორად. საქმეს, რომელსაც სხვები კვირეებს ანდომებენ, მე შემიძლია რამდენიმე საათი მოვანდომო, არ ვიცი, ეს როგორ ხდება, მაგრამ, ფაქტია.

**- მოსწავლეებს თუ აქვთ სურვილი კომპიუტერულ ტექნოლოგიებს დაუკავშირონ მომავალი საქმიანობა?**

- 21-ე საუკუნე თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია. ნებისმიერი ადამიანის პროფესია და საქმიანობა გაჯერებულია ტექნოლოგიებით, ამიტომ ჩემი მიზანია და ვაღწევ კიდეც, რომ მოსწავლეებმა ტექნოლოგიები მიზანმიმართულად გამოიყენონ, იყვნენ კონკურენტუნარიანები, ერკვეოდნენ თანამედროვე ტენდენციებში. ნებისმიერი მათი სამომავლო საქმიანობა თავისთავად დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან. ეს პროცესი შეუქცევადია და აქ, რა თქმა უნდა, ლომის წილი ტექნოლოგიების მასწავლებელზე მოდის.

**- ვინ იყო პირველი, ვინც ეს წოდება მოგილოცათ?**

- პირველმა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ მომილოცა. არაჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც მუდმივად ზრუნავს პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე და უზომოდ ახარებს თითოეული ჩვენგანის წარმატება. მეორესაც ვიტყვი, ბარემ - ეს იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ბატონი ბერიკა შუკაკიძე, რომელმაც პირადად მომილოცა და მადლობა გადამიხადა ჩვენს ფეისბუქჯგუფში ასეთი ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებისთვის.

**- ღურტის საჯარო სკოლაში შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი მწერლები, პოლიტიკოსები, მეცნიერები, ეროვნული მეურნეობის აღიარებული სპეციალისტები აღიზარდნენ. დღეს როგორ არის საქმე?**

- ნიჭიერი და წარმატებული მოსწავლეები არც ახლა აკლია ღურტის საჯარო სკოლას. ყოველწლიურად გვყავს ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, ბევრი ირიცხება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო გრანტებითა და უნივერსიტეტების შიდა დაფინანსებით. ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში.

**- არანაკლები ტრადიციებისაა ირემაძეების საჯარო სკოლა. იქაურ კოლეგებსა და აღსაზრდელებზე რას გვეტყვით?**

- ირემაძეების საჯარო სკოლამ და სოფელმა ძალიან თბილად მიმიღო და შემიყვარა, არაჩვეულებრივი კოლექტივია, ძალიან მეგობრული. რაც შეეხება ჩემს მოსწავლეებს, მათგან ისეთი სუფთა და დადებითი ენერგია მოდის, რომ მეც დადებითად ვიმუხტები.

**- ოჯახი ძლიერი და ჰარმონიული რომ იყოს, მეუღლეებმა როლები თანაბრად უნდა გაინაწილონ. თქვენს შემთხვევაში როგორ არის?**

- ოჯახი ძალიან ახალგაზრდებმა შევქმენით, ბევრი სირთულე შეგვხვდა ცხოვრებაში, მას მშობლები ადრე დაეღუპა, ამიტომაც მარტოს გვიწევდა გვეზიდა ცხოვრების ჭაპანი, ჩემი სტუდენტობის პერიოდში, ბავშვებზე თვითონ ზრუნავდა, ბევრჯერ გვიფიქრია, პირიქით ხომ არ ჯობდა - ჯერ სწავლა და შემდეგ ოჯახი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობთ, რომ სწორად მოვიქეცით, რადგან ჩვენ და ჩვენი შვილები თითქმის ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ, ასაკობრივი სხვაობა მცირეა და ეს ხელს უწყობს ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულებას. გვაქვს ერთნაირი ხედვა და ინტერესები. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეუღლე ყველაზე რთულ პერიოდში, ყოველთვის იყო და არის ჩემს გვერდით, არასდროს შეუზღუდავს ჩემთვის რამე, პირიქით, მეხმარება, რომ მთელი არსებით ვაკეთო საქმე, რომელიც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. ჩემი საქმიანობა სახლში მეუღლის სასარგებლოდ, ძალიან მინიმალურია, თუმცა არც მას აქვს ბევრი თავისუფალი დრო, შუახევიჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის „აჭარისწყალი ჯორჯია“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მიიღო დაფინანსება და გახსნა ავტოსახელოსნო, ავტონაწილების მაღაზია და აქ საქმიანობს.

**- მეუღლესთან ერთად, ვის ემადლიერებით?**

- ჩემს მშობლებს. დედას, რომელიც მეხმარებოდა შვილების გაზრდაში და მამას, რომელიც ახალგაზრდებს ფინანსურად გვედგა მხარში. რადგან მეუღლე ადრეულ ასაკში დაობლდა და მთელი პასუხისმგებლობა ჩვენს შვილებზე ჩემმა მშობლებმა აიღეს თავს, სანამ სტუდენტი ვიყავი.

**- იყოს მენტორი, ყველა პედაგოგის ოცნებაა, რაც თქვენ უკვე აისრულეთ. კიდევ რაზე ოცნებობთ?**

- მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად, მხოლოდ ოცნება არ კმარა, თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. მასწავლებლობაზე ვოცნებობდი და ავისრულე, დასახულ მიზნებს მივაღწიე, ჩემი ოცნებები არ სცდება სკოლის ფარგლებს, ბავშვებს დასტრიალებს. მინდა, ყველა ბავშვი იყოს გახარებული და ბედნიერი, იცხოვროს და ისწავლოს უსაფრთხო გარემოში. ახლა ერთადერთი ოცნებაა, რაც შეიძლება მალე დასრულდეს რუსეთ-უკრაინის ომი.

**- თქვენი საუკეთესო მეგობარი ექიმია...**

- ჩემი და შორენა ცინარიძის მეგობრობა უბრალო ნაცნობობით დაიწყო, მაგრამ შემდეგ საერთო ხედვებმა და ინტერესებმა დაგვაახლოვა. ძლიერი ენერგეტიკის ადამიანია, ყოველთვის ახერხებს, ყველაფრის მიმართ ოპტიმისტურად განმაწყოს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ვართ, ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ბევრს შრომობს, კოვიდგანყოფილებაში მუშაობს, რაც დრო გადის, გამოცდილებასთან ერთად, მისი კმაყოფილი პაციენტების რიცხვიც მატულობს. მე ხომ ვიცი, როგორ განიცდის თითოეული პაციენტის მდგომარეობას. პანდემიისას რადიკალურად შეიცვალა მისი ცხოვრების წესი, მუდმივად გამოუძინებელია, ხშირად მშიერიც, ფიზიკურად და ემოციურად დაღლილი. ჩემთვის მეგობრობა ერთმანეთის დაუსრულებლად აღიარებაა. ჰოდა, ჩემი მეგობარი გმირია. ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებ. ქუთაისის 36-ე საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს, ნატალია თურქაძეს, რომელიც ერთ-ერთ საგნობრივ სემინარზე გავიცანი და მას შემდეგ ერთად მოვდივართ, ერთმანეთს ვეხიდებით, ერთად გავიარეთ გზა პრაქტიკოსობიდან მენტორობამდე. ჯგუფი, რომელმაც ეროვნულ დონეზე აღიარება მოგვიტანა, ერთად შევქმენით და ვუძღვებით დღემდე.

**- ბეღლეთ-დანისპარაულის ხეობას, მე-20 საუკუნეში, ნოდარ ძირკვაძისა და ლევან გელაძის სახით, ორი ღირსეული შემოქმედი ჰყავდა. მათთან თუ გქონდათ ურთიერთობა?**

- ნოდარ ძირკვაძის მეუღლე - თინა ძირკვაძე, ჩემი დამრიგებელი იყო, დღეს რომ მასწავლებელი ვარ, სწორედ მისი დამსახურებაა. გასაოცარი პიროვნული თვისებები, საოცრად სათუთი ურთიერთობა ბავშვებთან, მისეული სიყვარული პატარებისა და დიდების მიმართ სენივით შემეყარა და... დღეს პედაგოგი ვარ. მქონდა ბედნიერება, მომესმინა ნოდარ ძირკვაძის გაკვეთილები, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ეს იყო მთიანი აჭარის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, მთის ერთგული შვილი, მართვეთა დამფრთიანებელი, ამიტომაც შეარქვეს მას ზედმეტსახელად „დიდებული“. რაც შეეხება ლევან გელაძეს, სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობდი, რადგან ძალიან ადრე გარდაიცვალა, თუმცა კარგად ვიცნობ მის შემოქმედებას და ვცდილობ მომავალ თაობასაც გავაცნო. ჩემი ორგანიზებით, ყოველი წლის 4 დეკემბერს, მის მშობლიურ ღურტის საჯარო სკოლაში იმართება ლევან გელაძისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

**- კომპიუტერული ტექნოლოგიების მაღალ დონეზე ათვისება ხომ არ იქნება საფუძველი, მზია კახაძე-იაკობაძის ავტორობით სახელმძღვანელო შეიქმნას?**

- იდეა არსებობს, რა თქმა უნდა, იმედია, ამ იდეას ხორცსაც შევასხამ.

**- სწავლა სიბერემდეო. დოქტორანტურისკენ ხომ არ მიგიწევთ გული?**

- ამ ეტაპზე, სხვადასხვა პროგრამის შესწავლით ვარ დაკავებული, რომელიც პირდაპირ კავშირშია ჩემს პროფესიასთან, ვფიქრობ, ჩემი მოსწავლეები იმსახურებენ კარგ მასწავლებელს, ამიტომაც არ ვაპირებ გაჩერებას, მუდმივად ვსწავლობ, რომ ვასწავლო...

**- დაბოლოს, რას ურჩევდით დამწყებ კოლეგებს?**

- მასწავლებლობა უნდა იყოს გაცნობიერებული არჩევანი, არ უნდა ეშინოდეთ სიახლეების, რადგან ნებისმიერ სფეროში, წარმატების ერთადერთი საფუძველი მუდმივი შრომაა. არ დაიჯერონ, რომ მასწავლებლობა რთული პროფესიაა, პირიქით - ძალიან საინტერესო, იდუმალი და ჯადოსნური ცხოვრება ელოდებათ წინ. სკოლა სიყვარულის ადგილია და ყველაზე მთავარი მაინც ბავშვების სიყვარულია, უნდა გიყვარდეს გულწრფელად და უპირობოდ. ბავშვებს ვერ ასწავლი, თუ მათთან ურთიერთობის ჩამოყალიბების ეტაპი წარმატებით ვერ გადალახე.



*„ მაღალმთიან სოფელში ცხოვრება იოლი არაა, აქ არსებობა მხოლოდ დიდი ძალისხმევითა და მძიმე ფიზიკური შრომით არის შესაძლებელი. თუმცა არჩევანის წინაშე - ოჯახი თუ კარიერა, არასდროს დავმდგარვარ. საბედნიეროდ, ორივეს გავართვი თავი, რადგან ორივე უსაზღვროდ მიყვარს. როცა გიყვარს, მოტივაციაც გაგაჩნია, მთავარი ეს არის*

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით...

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის უშუალო ჩართულობით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და საქართველოში ისრაელის საელჩოს შუამდგომლობით, ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტები, რომლებიც ისრაელის მოქალაქეები არიან, 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად ვერ აგრძელებენ სწავლას უკრაინის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და გამოხატავენ სურვილს, სწავლა გააგრძელონ საქართველოში, გადმოსვლას მობილობის დაჩქარებული პროცედურებით შეძლებენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საერთაშორისო სტუდენტებს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ აღიარებულ ინგლისურენოვან სამედიცინო, ასევე ფარმაციისა და სტომატოლოგიის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს.

„სტუდენტებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და გამოხატონ თავიანთი სურვილი სწავლის გაგრძელების თაობაზე. შემდგომ აუცილებელ საჭირო პროცედურებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაჩქარებულ ვადებში გაუწევს ადმინისტრირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელ ხაზზე: (995 32) 2 200 220“, - აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ამირან გურიელიძე**

# დავით ჩხარტიშვილი: ფსონები ბევრად მაღალია, ვიდრე უკრაინის ნეიტრალიტეტი და ბანდერა-შუხევიჩის დეჰეროიზაცია

ხატია იაშვილი 27 48 93



*გთავაზობთ ინტერვიუს პუბლიცისტ* ***დავით ჩხარტიშვილთან****, რომელიც აანალიზებს ომს და გვახსენებს კიევის რუსეთის შორეულ ისტორიას.*

**- ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები მოდის ფრონტის წინა ხაზიდან, როგორ თვლით, ვის აქვს პრიორიტეტი?**

- რუსებს. აქვე აღვნიშნავ - უამრავი მედიასაშუალება და დაინტერესებული პირი ცდილობს, საკუთარი, დილეტანტური ინტერპრეტაცია მისცეს უკრაინულ მოვლენებს. ამიტომ ოდნავ შორიდან დავიწყებ. მიმდინარე რუსულ-უკრაინულ კონფლიქტს ორი განზომილება აქვს, წმინდა ადამიანური, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლს ვგულისხმობ და გეოპოლიტიკური, სადაც პრაგმატული გათვლები და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მიმდინარეობს. არ დაგავიწყდეთ, რომ პროცესი საქართველოსაც უქადის ტექტონიკურ ძვრებს, პოლიტიკურ-მედია ძალთა გადაფორმატირებას, ამიტომ ამ პროცესების ანატომია ზედმიწევნით უნდა ვიცოდეთ, იგივე დღეში რომ არ აღმოვჩნდეთ. ახალი მეხსიერების კონსტრუირებამ უკრაინელი ხალხისთვის მოიტანა ომი, გაუცხოება აღმოსავლეთსა და დასავლეთ უკრაინას შორის. ამით ისარგებლა რუსმა, ეს ცალსახაა, მაგრამ თუ კონფლიქტს ისტორიულ ჭრილში არ განვიხილავთ, ფორმალიზმის ტყვეობაში დავრჩებით. კომიქსებსა და 90-იანების „ბოევიკებზე“ აღზრდილ პირებს ეს ძალიან უჭირთ. ისინი შეჩვეული არიან მარტივ შავთეთრ სქემებს და ეჭიდებიან იქ, სადაც რთული აზროვნების, ფენომენოლოგიური სფერო იწყება. ამიტომაც ხმაურობენ ხოლმე ყველაზე მეტს, იყენებენ ტაბუს, ნახევარსიმართლეს, სტერეოტიპებსა და დაზუთხულ, სააკაშვილის დროინდელ მანტრებს. მოკლედ, სოციალური ფსიქოლოგიის წიაღსვლებში რომ არ გადავვარდეთ, ისტორიას დავუბრუნდები. აღმოსავლეთ სლავური ერის ბედუკუღმართობაზე ბევრი ითბობს ხელს. ჩემი აზრით, ეს ორივე - უკრაინელი და რუსი ხალხის ტრაგედიაა, რომელიც უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების და ცივსისხლიანი სტრატეგების გამოისობით დატრიალდა.

**- მოდით, მაშინ კიევის ისტორიას გადავწვდეთ, დღემდე არ განხილულა ჩვენს გაზეთში ეს თემა დაწვრილებით.**

- კიევი ხომ რუსული ქალაქების დედაა, კიევ-პეჩორის ლავრა კი რუსეთისთვის იგივეა, რაც გელათის აკადემია - ჩვენთვის. მე-15 საუკუნიდან ჩვენ, ქართველები, არ ვცხოვრობდით ერთად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ნაწილები აღარ იყო საქართველო. ასევეა იქაც. თუ ჩავუღრმავდებით, ნათლად დავინახავთ სრულ სურათს. ქართული და რუსული მიწების დაშორება დროშიც კი ემთხვევა - მიზეზიც საერთოა, მონღოლების შემოსევა. ასე მაგალითად, ურდოს გაქცეული კიევის მიტროპოლიტი მაქსიმი 1299 წელს გადადის ვლადიმირში, მე-14 საუკუნეში კი მოსკოვის აღზევების გამო, სრულიად რუსეთის (ანუ კიევის) ახალ მიტროპოლიტს იქ გადააქვს რეზიდენცია. 1442 წელს მსოფლიო პატრიარქი ხელს აწერს ფლორენციის უნიას კათოლიკურ ეკლესიასთან. მოსკოვში ამ გაერთიანებას არ აღიარებენ, ბერძენი მიტროპოლიტი ისიდორე კი ბრუნდება კიევში უნიის ხელმოწერის შემდეგ. სხვათა შორის, ქართული ეკლესიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ესწრებოდნენ იმ კრებას შუაგულ ევროპაში, მყისვე მტკიცე უარი განუცხადეს პაპს და ბერძნებს. 1448 წელს მოსკოვის რუსეთში აირჩიეს პირველი რუსი მიტროპოლიტი იონა, რომელიც პირველი განხეთქილების მიზეზი გახდა კიევის რუსეთსა და მოსკოვის რუსებს შორის. ამ დროისთვის, ჩვენთანაც ჩნდება 2 ავტოკეფალური ეკლესია - ცენტრით ქართლსა და აფხაზეთში. 1290 წელს ქართული ერთიანი ეკლესიიდან გამოიყო აფხაზეთის საკათოლიკოსო, რომლის იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა, ცენტრით ბიჭვინთაში. 1811 წელს აღმოსავლეთ საქართველოს და აფხაზეთის გაუქმებული ეკლესიები (1814 წ.) აღდგა ერთიანი საეკლესიო სხეულის სახით 1917 წელს. ამ დროს თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე მოვლენები ვითარდებოდა შემდეგნაირად: პოლონურ კოლონიზაციასთან ერთად, დაიწყო კათოლიკური ეკლესიის ექსპანსიაც, რომლის მიზანი იყო მართლმადიდებლების დათანხმება უნიაზე. 1596 წელს უკვე ბრესტში ხელი მოეწერა ახალ უნიას, რომელმაც კიევის მიტროპოლია გააუქმა. ასე გაჩნდა უკრაინაში ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია (უნიატები), ფორმით მართლმადიდებლური, შიგთავსით - კათოლიკური. მართლმადიდებლობა, ანუ როგორც იმჟამინდელ უკრაინელებში ეძახდნენ „რუსული რწმენა“, ხდება იდეოლოგიურ ფუნდამენტად პოლონეთის მოძალების წინააღმდეგ. ამ კონფლიქტის უმაღლეს წერტილად კი იქცა ბოგდან ხმელნიცკის 1648 წლის აჯანყება, რის შედეგადაც, 1654 წელს ქ. პერესლავში ხელი მოეწერა შეთანხმებას ზაპოროჟიელ კაზაკებსა და მოსკოვის მეფეს შორის. შედეგების მიხედვით, კაზაკების მიერ პოლონეთისთვის წართმეული ყველა ტერიტორია გადადიოდა მოსკოვის სამეფოს მფარველობის ქვეშ - მართლმადიდებლებითურთ! როცა ისტორია და კონტექსტი იცით, სხვა ოპტიკით ხედავთ და სხვაგვარად გვესახება იქაური პრობლემების გადაჭრაც, მაგრამ ამჟამინდელი სახელისუფლებო უკრაინული ელიტა და ქართული პარტიული ტელევიზიები ასეთ განმარტებებს არ იღებენ. ისინი, ერთი მხრივ, არიან ხორცი ხორცთაგანნი სხვა, 1939 წელს სტალინის მიერ ძირითად უკრაინაზე შემოერთებული, უნიატური, დასავლური უკრაინის მემკვიდრეები, მეორე მხრივ კი, უბრალოდ, უვიცები.

**- რაც შეეხება თანამედროვე უკრაინის ისტებლიშმენტს?**

- უკრაინის ამ სეგმენტმა ჩაიგდო ხელთ 2014 წელს პოლიტიკური ძალაუფლება კიევში და მიიპატიჟეს სააკაშვილი ამალითურთ, რასაც მოჰყვა კონფლიქტები და ყირიმის ოკუპაცია, რითაც ისარგებლა რუსმა და casus belli-ად (ომის დაწყების ფორმალური მიზეზი) გამოიყენა. განა ამბობდა ვინმე, რომ რუსეთი ჰოლანდიის დარი, მშვიდობიანი, ლიბერალური ქვეყანაა? რომ ალტრუისტთა კლუბია და არა მტაცებელი იმპერია? უნდა იცოდე, როგორ და რა ელის შენს უკან მდგარ ქალაქებს, ქალებს და ბავშვებს. ეს, მაშინ, თუ სახელმწიფო მოღვაწე და არა ენაგრძელი პოლიტიკანი ხარ.

**- თქვენ პრეტენზიები გქონდათ ტელეგადაცემების მიმართ.**

- დიახ, ნებისმიერი ფაქტი კონტექსტში უნდა განიხილო, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულ სურათს ვერ აჩვენებ. ამით სარგებლობენ ჩვენთან ტელევიზიები და ლამის, ტოტალურ ტყუილზე არიან გადასულები; ასე მაგალითად, ჩართავ რომელიმე ქართულ პარტიულ ტელევიზიას, მოუსმენ „ნაცების“, ან მათთან აფილირებული რომელიმე პარტიის სპიკერს და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მალე მოსკოვს აიღებს უკრაინული არმია, პუტინი კი ბუნკერში ცახცახებს, რაც მტკნარი სიცრუეა. სიმართლე საპირისპიროა. აი, თუნდაც, ვცადოთ და ერთად მოვახდინოთ ქართულ მედიაში გაბატონებული ნარატივის დეკონსტრუქცია. მაგალითად, ვიღაც „ექსპერტმა“ სადღაც თქვა, რომ პუტინი 2-3 დღეში აიღებდა კიევს და გეგმა ჩაუვარდა. აჰყვნენ სხვა „ექსპერტებიც“, ქართული მედიაპლატფორმებიც თუთიყუშებივით იმეორებენ ამ ფეიკს და უკვე მუშა-გლეხი, მაკლერი, კურტიზანი ქალი, პარტაქტივისტი და დიასახლისიც კი ღლიცინებს პუტინის გეგმაზე. მეტიც, გონება ადამიანის ისეა აწყობილი, რომ ერთ ისტორიას მოჰყვება მეორე და... მასობრივი ცნობიერება აანონსებს სააკაშვილის დაბრუნებას პრეზიდენტად, თან რუსეთის ჩამოშლასაც ელის. მასობრივ ცნობიერებაში ეს ფეიკი აისახა ისე, რომ რუსეთი აგებს, ქალაქებს ვერ იღებს, რუსული ჯარი ბარდება უკრაინულს - ტყვედ, მთელი დივიზიებით, ტექნიკა ამორტიზებულია, რუსული ოპოზიცია კრემლის მისადგომებთანაა, „ნაცები“ მართლები ყოფილან, ტალიავინი სტყუის და ა.შ. დამატებით, როცა მთელი ქართული სოციალური ქსელი ოფიციალური კიევის ტარგეტული რეკლამის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება და კანტიკუნტად აფეთქებულ რუსულ ტანკებს თუ ჩამოგდებულ ვერტმფრენებს აჩვენებენ, რუსული მხრიდან კი სიჩუმეა გასაგები მიზეზების გამო, რთულია, არ დაიჯერო ზღაპრის.

**- თქვენი აზრით, რა ხდება სინამდვილეში?**

- სინამდვილეში, არავინ იცოდა პუტინის გეგმა არც მაშინ და არც დღეს, რამდენზეა გაჭიმული დროში ეს ომი რუსეთის გენერალური შტაბის გეგმის მიხედვით. უმსხვილესი, ყველაზე ბრძოლისუნარიანი უკრაინული საჯარისო დანაყოფები მოქცეულია ალყაში მარიუპოლთან, ქალაქების აღებასაც არავინ აპირებდა დაწყებით ეტაპზე და მით უფრო 2-3 დღეში. ასე მაგალითად, გრანადის ასაღებად, 1000-კაციანი ჯარით, ამერიკელებს 2 კვირა დასჭირდათ, ერაყს 1 თვის განმავლობაში უტევდნენ, ეს - 700 000-იანი კოალიციით და ა.შ. მაშასადამე, რომელი ჭკუათმყოფელი გათვლიდა გეგმას 2-3 დღეზე 45-მილიონიანი ქვეყნის მიმართ? მოკლედ, ის ბრძოლები, რომლებსაც ვხედავდით უკრაინული ქალაქების ქუჩებში, ცალკეული მოიერიშე დანაყოფების შეტევა იყო პლაცდარმების დასაკავებლად, რათა ძირითად არმიას დასაყრდენი ჰქონოდა და ა.შ. პუტინის ამოცანაა, შუაში გახლიჩოს უკრაინა, საზღვარი გაასწოროს ზუსტად იმ პერიმეტრზე, სადაც უკრაინა პირობითად დასავლურ და აღმოსავლურ ნაწილებად, 1939 წლიდან იყოფა. შემდეგ კი, როდესაც ბოლომდე დაიცლება ქალაქები მშვიდობიანი მოსახლეობისგან, ტაქტიკური იარაღი უკვე არა ასე - წერტილოვნად, არამედ მასობრივად გამოიყენოს, რასაც, მართლაც რომ, 2-3 დღეში კიევის დაცემა და მთავრობის ცვლა მოჰყვება.

**- როდის შედგება მოლაპარაკებები პრეზიდენტებს შორის?**

- Financial Times-მა გამოაქვეყნა ვერსია, რომ რუსეთი და კიევი 15-პუნქტიან შეთანხმებასთან ახლოს არიან. იქ დაწერილი სავარაუდო შეთანხმებით, რუსეთმა თავისი ჯარი უნდა გაიყვანოს კიევის დაპირების სანაცვლოდ - რომ ნეიტრალური ქვეყანა იქნება, თანაც, რუსული ენა მიიღებს ოფიციალურ სტატუსს. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს? აბა, რა გითხრათ, დღეს არცერთი წყარო აღარაა სანდო, სწორედ რომ მანდ გამოქვეყნდა, რომ რუსი დახმარებას სთხოვს ჩინეთს, მერე დაამატეს, რომ უარი მიიღო რუსმა ჩინეთისგან. თუმცა მალევე გამოვიდა ჩინეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენელი და ტყუილში დაადანაშაულა გაზეთი. ვფიქრობ, რუსეთს ცუდად არ აქვს საქმე. მაშინაც კი, თუ კიევი აღიარებს ყირიმს, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებს, ომგამოვლილ რუსეთს ეს დიდს არაფერს აძლევს. ომამდე, იქნებ დათანხმებულიყო პუტინი, მაგრამ ახლა არა. ფსონი ბევრად მაღალია დღეს, ვიდრე უკრაინის ნეიტრალიტეტი და ბანდერა-შუხევიჩის დეჰეროიზაცია.

**- პრეზიდენტ ზელენსკის ყველგან აღფრთოვანებით ხვდებიან, მაგრამ ისევ ვერ ჩაუკეტეს ცა...**

- ზელენსკი და მისი ამალა შოუბიზნესიდანაა მოსული იმ პირობით, რომ შეასრულებდა „მინსკის შეთანხმებას“ და ა.შ. მაგრამ როგორც კი დაიწყო თავისი გეგმის განხორციელება, დაუპირისპირდნენ იქაური ნაციონალისტები - ბანდერას და შუხევიჩის ფანკლუბი, დღეგამოშვებით ჩირაღდნებით ფაშისტურ მსვლელობებს რომ აწყობდნენ კიევში. მათ ულტიმატუმი წაუყენეს ზელენსკის, მისი ებრაული წარმოშობა გაუხსენეს და სიკვდილით დასჯაც კი უწინასწარმეტყველეს. უკეთ რომ მიხვდეთ, რასთან გვაქვს საქმე, გეტყვით - ჩვენი „ნაციონალები“ მათ ნაციონალისტებთან შედარებით საბავშვო ბაღია. რაღაც ეტაპზე ზელენსკი პარამილიტარისტული ძალების მძევალი გახდა და პრინციპით „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია,“ მათი ლეკალოებითვე იმოძრავა. შედეგიც დაუყოვნებლივ დადგა - უკრაინა მიწასთანაა გასწორებული არარეალური მოლოდინების, „ნიადაგობრივი“ მითის აღორძინების და მილიტარისტული სურვილების გამო. დღეს მას არც ნატოში ღებულობენ, არც მოიერიშე თვითმფრინავებს აწვდიან და არც ტერიტორიას უთმობს სამხედრო ტვირთების გასატარებლად რამდენიმე ევროპული ქვეყანა და ა.შ.

**- რუსეთი არ ემორჩილება ჰააგის სასამართლოს, რა ბერკეტები რჩება ევროპის საბჭოს მის შესაჩერებლად?**

- არავითარი. საერთოდ დატოვა რუსეთმა ევროპის საბჭო და ეს თავად საბჭოსთვის არის უფრო ცუდი, ვიდრე რუსისთვის. თუ ასე გაგრძელდა, ეს ორგანიზაცია მალე საერთოდ არ იარსებებს. ევროკავშირის წევრების გარდა, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოა მასში გაწევრიანებული: რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, მოლდოვა. ახლა კი, როდესაც რუსეთი გავიდა, თურქეთს კი საერთოდ აღარ აინტერესებს ევროპელების აზრი, შესაბამისად, ევროპის საბჭოს აღმზრდელობითი მისიაც ქრება.

**- ევროკავშირიც უფუნქციოდ რჩება?**

- აქაც არაა მარტივად საქმე. მისი ქვეყნების ნაწილი რუსეთთან სეპარატულ მოლაპარაკებებს აწარმოებს, ეფლირტავება, ახალ სავაჭრო ურთიერთობებს ამყარებს. ზოგიც, საერთოდ აშკარა მოკავშირეა პუტინის. სანქციების შესახებ კი აზრი, რბილად რომ ვთქვა, გაყოფილია. იქაური მექანიზმები მოგეხსენებათ - სრულ კონსენსუსს მოითხოვს ქვეყნებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეკლარაციას არ სცდება ნებისმიერი მუქარა.

**- მიიჩნევენ, რომ ზელენსკიმ უკრაინა აქცია რუსეთისა და ნატოს ომის პოლიგონად. ასევე, შეკითხვა დაისვა კიევის ნატოსგან დისტანცირებასთან დაკავშირებით. შესაძლებელია თუ არა, რომ ამგვარ რიტორიკას ზელენსკი რუსეთთან მოლაპარაკებების ტაქტიკისთვის იყენებდეს?**

- პირველ კითხვას რაც შეეხება, ასე გამოდის - ფაქტები ჯიუტია. დროა შევეჩვიოთ ერთ მარტივ ჭეშმარიტებას: ის, რასაც ამბობენ მაღალი ტრიბუნებიდან, როდი შეესაბამება ნამდვილ ჩანაფიქრსა და მით უფრო, ქმედებებს. სად იყო მაშინ საერთაშორისო სამართალი და სანქციების ქომაგები, როცა იუგოსლავიის, ერაყის, ლიბიისა თუ ავღანეთის ხალიჩისებური დაბომბვა მიმდინარეობდა? რატომ დუმდნენ? წარმოიდგინეთ, ირლანდიამ რომ მოითხოვოს ინგლისური ენის აკრძალვა, ОДКБ-ში (კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია) გაწევრიანება, რაკეტების განლაგება დიდი ბრიტანეთის ყურისძირში, ანდა ისრაელის მიერ მოკლული ირანელი მეცნიერები გაიხსენეთ და ა.შ. მთელი ეს საერთაშორისო სამართლის რიტორიკა სასაცილოდ არ ეყოფოდათ იქაურ „ჯინგოისტებს“. მეორე კითხვას რაც შეეხება, თავად ზელენსკიმ თქვა: „ნატოში შესვლა არ შეგვიძლია. ეს სიმართლეა და უნდა ვაღიაროთ. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ხალხი იწყებს ამის გაგებას“. ტაქტიკას რაც შეეხება, დღეს ზელენსკის მხნე სატელევიზიო იმიჯის მიუხედავად, არ ეტაქტიკება, რადგანაც უკრაინის ყოფნა-არყოფნის და პირადად მისი ლიკვიდაციის საკითხი დგას დღის წესრიგში. დასავლეთიც, ანგლოსაქსონური სამყაროს გარდა, აშკარად დაიღალა და სთავაზობს ზელენსკის, მიიღოს რუსეთის პირობები. უკრაინის საპრეზიდენტო ოფისიდან ინფორმაციამ გაჟონა, გერმანიის კანცლერმა შოლცმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმაც შესთავაზეს დანებება. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენეტმაც ღიად მოსთხოვა ზავის დადება რუსული პირობებით. მოკლედ, რთულად აქვს ზელენსკის საქმე, იმაზე რთულად, ვიდრე აქ წარმოუდგენია მავანს.

*„პუტინის ამოცანაა, შუაში გახლიჩოს უკრაინა, საზღვარი გაასწოროს ზუსტად იმ პერიმეტრზე, სადაც უკრაინა პირობითად დასავლურ და აღმოსავლურ ნაწილებად 1939 წლიდან იყოფა. შემდეგ კი, როდესაც ბოლომდე დაიცლება ქალაქები მშვიდობიანი მოსახლეობისგან, ტაქტიკური იარაღი უკვე არა ასე, წერტილოვნად, არამედ მასობრივად გამოიყენოს, რასაც, მართლაც რომ, 2-3 დღეში კიევის დაცემა და მთავრობის ცვლა მოჰყვება*

იხ. მე-7 გვერდი

# კარატისტების საქველმოქმედო ვარჯიში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***აჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაციის ორგანიზებით, 20 მარტს ბათუმში რეგიონალური კლუბების და მათი წევრების საერთო საქველმოქმედო ვარჯიში გაიმართა, რითაც სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინელ კოლეგებს***

როგორც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან ცინცაძემ გვითხრა, შემოსული თანხა საქართველოს ეროვნული ფედერაციის მიერ შეგროვებულ თანხასთან ერთად, ჰუმანიტარული დახმარების სახით, უკრაინის კარატეს ეროვნულ ფედერაციას გადაერიცხება.

- მძიმე დღეები უდგას უკრაინას. ამ საქველმოქმედო ვარჯიშით, მეგობარ ქვეყანას სოლიდარობა გამოვუცხადეთ. 200-მდე სპორტსმენი შეიკრიბა, ძირითადად, ბათუმელები, ქობულეთისა და მაჭახელას კლუბის წევრებიც ჩამოვიდნენ. აქვე გეტყვით, რომ ორ კვირაში ევროპის ჩემპიონატზე მივემგზავრებით, კონკურენცია დიდია. ჩვენი ბიჭები უფროსების კატეგორიაში იასპარეზებენ, - გვითხრა ლევან ცინცაძემ, -



ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები სულ 11 სპორტსმენით წარსდგება, აქედან ორი, ქალია. რაც შეეხება მამაკაცებს, ცხრა სპორტსმენიდან ოთხი აჭარის წარმომადგენელია: მინდია მგელაძე, დათა ფუტკარაძე, დავით მსხალაძე, ლევან ვერულიძე.

- აქამდე ბათუმში ვემზადებოდით, ახლა თბილისში მივემგზავრებით, სადაც ეროვნული ნაკრების სხვა წევრებს შევუერთდებით და ბოლო - დასკვნით ათდღიან შეკრებას იქ სრული შემადგენლობით გავივლით, - თქვა დავით მსხალაძემ.

თვის ბოლოს ჩვენი სპორტსმენები პოლონეთის ქალაქ ტარნოვში გაემგზავრებიან, სადაც 1-2 აპრილს ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას დაიცავენ.

# აჭარის ჩემპიონატი – ჭადრაკში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დამთავრდა აჭარის ჩემპიონატები ჭადრაკში 10, 14 და 18 წლამდე მოჭადრაკეთა შორის, რომელიც აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა***



ტურნირები შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად გაიმართა, სამივე ასაკში მონაწილეთა საერთო რაოდენობა 90 იყო.

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში აჭარის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრეს: რატი დიასამიძემ, ანეტა ქედელიძემ, დემეტრე გოგიაშვილმა, თიკო ბერაიამ, გოგა ლორთქიფანიძე, მარიამ კალანდაძემ. აჭარის ჩემპიონები ბათუმელები არიან, რომელთა მწვრთნელები გახლავთ ნათია ვაჩეიშვილი, თენგიზ დიდმანიძე, ალექსი ტერ-კარაპეტიანი, ალექსანდრე რუხაძე.

საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს ფედერაციამ მედლები და დიპლომები გადასცა, ჩემპიონებს ასევე - თასები. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ჩემპიონატზე შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაში.

14-17 მარტს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს კადეტთა სასკოლო ჩემპიონატის ფინალური მატჩები გაიმართა 9, 11 და 13 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. სუპერფინალის თითოეული ტურნირი ექვს მონაწილეს შორის წრიული სისტემით გაიმართა.

აჭარიდან 13 წლამდე კატეგორიაში ოთხი მოჭადრაკე მონაწილეობდა: კესარია მგელაძე, მარიამ ცეცხლაძე, მარიამ კალანდაძე და ლულუ დიასამიძე.

აქედან ორმა სხვადასახვა სინჯის მედალი მოიპოვა: კესარია მგელაძემ - ვერცხლი, მარიამ ცეცხლაძემ - ბრინჯაო.

# „ფსონები ბევრად მაღალია, ვიდრე უკრაინის ნეიტრალიტეტი და ბანდერა-შუხევიჩის დეჰეროიზაცია“

მე-6 გვერდიდან

**- საქართველოს მთავრობის პოზიციას რაც შეეხება...**

- ღმერთმა ქნას, იმ სცენარში, რაც ახლა უკრაინის ირგვლივ ტრიალებს, თამაშგარე დავრჩეთ ბოლომდე. ახლა მთავარია, არ მოვხვდეთ დიდი ქვეყნების ყურადღების ეპიცენტრში. ეს ჩვენთვისაა საქართველო სამყაროს ცენტრი, თორემ დიდი მოთამაშეებისთვის პაიკი, ხურდაა, რომელიც შეიძლება გაცვალო, მოისროლო, გაყიდო ან, უბრალოდ, გატეხო და ნამცეცები მიისაკუთრო. ახლა ჩვენი ეროვნული ინტერესია, არ დავუშვათ რუსული ინტერვენცია საქართველოში. ბევრი ძალაა საქართველოს ბრძოლის პლაცდარმად გადაქცევით დაინტერესებული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ღარიბაშვილის გადაწყვეტილებაც დროული იყო, ვშიშობ, იმდენად ადეკვატური, რომ მისი პრემიერობიდან ჩამოშორების მცდელობა გაათმაგებული იქნება. ამ ეტაპზე ეს მიღწევადი იყო მილიტარისტულ რიტორიკაზე ცივი უარით. იმასაც იტყვიან - „ნატოს ქვეყნებმა ამდენი სიკეთე მოგვიტანა, უკრაინაც სტრატეგიული პარტნიორია, გვეხმარებოდა, ფული ჩადო, ჯარი აგვიშენა“... ნუ დაუჯერებთ ამ ნეტარებს. ბუდას მოსწონდა ერთი ამბის მოყოლა: სოფელში ხუთი სულელი დადიოდა, თავებით უზარმაზარი ნავი გადაჰქონდათ. როდესაც მიზეზი ჰკითხეს, სულელებმა უპასუხეს, რომ ამ ნავით დიდი მდინარე გადაცურეს და არ შეუძლიათ უმადურობის გამომჟღავნება - ჩვენ მარადიულად ვართ დავალებული ნავის წინაშეო. 2010 წლის 6 სექტემბერს გაჟღერებული პუტინის ნათქვამი გამახსენდა: „ოდესმე საქართველომ, აფხაზეთმა და ოსეთმა ერთად უნდა გადაწყვიტონ თავიანთი სამომავლო ურთიერთობების ფორმა და არ ვიცი, იქნება თუ არა ეს ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი“. ამისთვის, ალბათ, პუტინი ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმას და მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას მოითხოვს. სავარაუდოდ, შემოგვთავაზებს რაღაც შუალედურს - „ფინლანდიზაციასა“ და ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას შორის. აი, რაზე უნდა ვიფიქროთ და რისთვის უნდა ვიყოთ მზად დღეს.

**- ვის ეკისრება პასუხისმგებლობა დაღვრილი სისხლისთვის - ნატოს, ზელენსკის, რუსეთს თუ... სამივეს ერთად?**

- ზელენსკის მრჩეველი ოლექსი არესტოვიჩიც კი აცხადებს, რომ უკრაინაში რუსული ჯარების შეჭრის ერთ-ერთი მიზეზი ყოფილი ხელისუფლების მიერ ნატოს წევრობის კურსის კონსტიტუციით გამყარება იყო: „პეტრო პოროშენკომ იცოდა, რომ ნატო არასდროს მიგვიღებდა. ახლა კი უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიაში უკანასკნელი წილი ეკისრებათ მათ, ვინც მიიღო და ხელი შეუწყო კონსტიტუციაში ამ ნორმის შეტანას“.

**- რუსეთის მოკავშირეები არ ჩანან...**

- ალექსანდრე III-ს ეკუთვნის სიტყვები: „რუსეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს - მისი არმია და საზღვაო ძალები“. მას მერე დიდად არაფერი შეცვლილა რუსის ფსიქოტიპში. ისე კი, ჩინეთი და ინდოეთიც, სხვა არადასავლური ქვეყნებიც უმაგრებენ მორალურად ზურგს. მეტი ამ ეტაპზე არ მგონია, სჭირდებოდეს და თუ დასჭირდა, დარწმუნებული ვარ, ჩინეთი არ აარიდებს მის სამოკავშირეო ვალდებულებებს თავს. დასტურად თუნდაც ბაიდენსა და სი ძინპინის შორის ორიოდე დღის წინ გამართული სატელეფონო საუბარიც გამოდგება. ბაიდენი კი შეეცადა დაშინებას, მაგრამ ჩინეთის ლიდერმა მიუგო: „თქვენ უკრაინაში აგზავნით იარაღს და სიკვდილს, ჩვენ კი იქ ათასობით ტონა ჰუმანიტარულ მარაგს ვაგზავნით“.

**- რას იტყვით აქ შემოსული რუსეთის მოქალაქეების ნაკადზე?**

- ამასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ ყოვლად მიუღებელია ის აღვირახსნილი ქსენოფობიური კამპანია, რაც იღვრება ქართული პარტიული ტელევიზიებიდან. სამხედრო პროპაგანდის ანაბანაა, რომ მოწინააღმდეგის დეჰუმანიზაცია უნდა მოახდინო. გაიხსენეთ, რა ეპითეტებით ამკობენ რუს მოქალაქეებს. ძალზე დელიკატური თემაა და მთავრობის მცდელობა - „მიშისტურ“ არხებს აეკრძალოს დისკრიმინაციის პროპაგანდა, არ მიმაჩნია საკმარისად, თუმცა თავს შევიკავებდი იმ მეთოდებზე საუბრისგან, რაც უნდა გატარდეს პრობლემის აღმოსაფხვრელად, რომელიც დიდია და ეგზისტენციალურად საშიში ქართული სახელმწიფოსთვის.

**- რა გველის წინ?**

- მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, მე-17 საუკუნის ვესტფალიის ზავის, ვენის, იალტის და 90-იანების ლიბერალური ჰეგემონიის რღვევა, გადაფორმატირება, ჩვენ კი მოუმზადებელი დავრჩით, დაგვავიწყდა კაცობრიობის რეალური ისტორია და დავყაბულდით ზღაპრებს. არადა, დიდი სახელმწიფოების თანაცხოვრების წესები არასდროს ყოფილა ალტრუისტთა კლუბის განაწესი, როგორც ამას „ენჯეოშნიკები“ გვასწავლიან ყველა ქართული პარტიული მედიაპლატფორმიდან. საქართველოშიც დაიწყება ძალიან ცუდი პროცესები, თუ იმძლავრა მიშიზმმა, მის ჩახშობას კი ჯერ პირი არ უჩანს, რადგანაც „ოცნება“ კონცეპტუალურ დონეებზე პაექრობას „ნაციონალებს“ ვერ უწევს, მათი დისკუსიიდანაც ვერ გამოდის ბოლომდე. ცალკეული პირები, თუგინდ უმაღლესი შრეებიდან, ასეთ რთულ მისიას კომპეტენტური გუნდის გარეშე ვერ გაუმკლავდებიან. საჭიროა, არასამთავრობოები, ტელევიზიები, ახალი დოქტრინა და საკუთრივ „ოცნების“ რიგების გაწმენდა „მიშისტებისგან“.

## გახსენება

# ვიქტორ აბუსელიძე



„ჩვენი ვიქტორი“ - ასე მოვდიოდი პიროვნებასთან, რომელთან ურთიერთობას ბავშვობიდან ვეზიარე. ჩემი დედულეთი მშობლიური შუახევის რაიონის სოფელ ჯაბნიძეების ლამაზი უბანი ვერხვანაა, სადაც დაიბადა და გაიზარდა ვიქტორი. ეამაყებოდა, რომ აქაური აბუსელიძეები აჭარის ერისთავების - აბუსერიძეების შთამომავლები არიან.

მიხეილ და ვიქტორ აბუსელიძეების ხელმძღვანელობით 2011 წლიდან ჩამოყალიბდა აბუსელიძე (აბუსერიძეების) საგვარეულო კავშირი, მათივე ინიციატივით სამების საკათედრო ტაძარში გვარი დალოცა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. გვარს აქვს საგვარეულო ხატი და გერბი.

ვიქტორი იქ იყო, სადაც გული და გონება კარნახობდა, მუშაობდა პედაგოგად, ახალგაზრდების ხელმძღვანელად, სამხედრო მოსამსახურედ, ჟურნალისტად, სათავეში ედგა არასამთავრობო ორგანიზაციას. გამოცემული აქვს სქელტანიანი წიგნი „ბიოგრაფიული ჩანაწერები“, რომელშიც აღწერილია მისი ცხოვრების გზა, ლექსები კი მისი უკვდავების სიმბოლოა...

ორმოცი მტკივნეული დღე გავიდა, რაც აღარ ხარ. ყველას გვიჭირს შენზე სიტყვის - „იყო“ თქმა.

ძვირფასო ვიქტორ, ყველანი ვწუხვართ და შეძრწუნებულნი ვართ შენი ნაადრევი გარდაცვალებით. ოპერაცია გაიკეთე იმედით, კარგად გავხდებიო, მაგრამ, სამწუხაროდ, ის საბედისწერო აღმოჩნდა.

შენს მეუღლეს - ქალბატონ ნაზის, შვილებს ირმას, იამზეს, მანანას, შვილიშვილებს, სიძეებს ჯამბულს, რამაზს, ვლადიმერს, მეგობრებსა და მეზობლებს - მურმან კილაძეს, თამაზ ტაკიძეს, ილია ცინცაძეს, ნატო ბარაბაძეს, თამაზ ცინცაძეს, სერგო დუმბაძეს, თანაკლასელებსა და თანაკურსელებს გვახსოვხარ და უზომოდ ვწუხვართ შენი იმქვეყნად წასვლის გამო.

გული დამწყდა, მოსვენება დავკარგე, როცა პანდემიით იზოლაციაში მყოფმა შენი გარდაცვალება გავიგე. სამძიმარზე ვერ მივედი, ოჯახი განკურნების შემდეგ ვანუგეშე.

უკვე აღარ ვიცი, რამდენი მეგობარი დავკარგე, ბოლომდე ვერაფრით გავაცნობიერე, რომ ჩემ გვერდით აღარ არიან.

ჩვენო ვიქტორ, მეგობრის, ახლობლის სიყვარულის სიძლიერე განშორების შემდეგ შეიცნობა. ტკბილად იძინე, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა, საუკუნო ნეტარებაში გამყოფოს უფალმა.

**მეგობარი
ნოდარ კილაძე,
დაბა ჩაქვი**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/03/22, 20 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# საფესტივალო სპექტაკლებზე სამუშაოდ სკოლებში აუცილებელია პროფესიონალი რეჟისორების მოწვევა

*ბათუმში იშვიათია ბავშვთა თეატრალური სტუდია-სახელოსნო, სადაც ჩამოყალიბებულია თეატრალურ ხელოვნებასთან ზიარების სისტემა... თუმცა 1993-2018 წლებში წარმატებულად მოქმედებდა ბავშვთა თეატრალური სტუდია „ტიპ-ტოპი", სადაც პატარებს სამსახიობო ოსტატობისთვის საჭირო უნარებს უვითარებდნენ და კომპლექსურად ასწავლიდნენ არტისტისთვის აუცილებელ ცეკვას, ვოკალს, სწორად მეტყველებას, დგამდნენ სპექტაკლებს, აწყობდნენ თეატრალურ კონკურსებს და არაერთი პრესტიჟული ჯილდოც მიუღიათ*

*წელს პირველად ჩატარებულმა სასკოლო საყმაწვილო თეატრალური დასების ფესტივალმა „პირველი ავტოგრაფი" ერთგვარად წამოჭრა ისეთი საბავშვო თეატრალური სტუდიის არსებობის აუცილებლობა, სადაც მოზარდებს თეატრალური ხელოვნების ანაბანას პროფესიონალები აზიარებენ. ხსენებული ფესტივალის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა პეტრე ჩარგეიშვილმა სწორედ ამ მოსაზრების საფუძველზე შექმნა თამაზ და ოთარ ჭილაძეების სახელობის მოზარდთა თეატრალური სახელოსნო „დეფიციტი" 2022 წლის 8 თებერვალს. აქ სწავლება ორწლიანია და შესაბამისი სერტიფიკატი გაიცემა.*

*სავულისხმოა, რომ სასკოლო საყმაწვილო თეატრალური დასების ფესტივალის ჩატარების იდეა სწორედ პეტრე ჩარგეიშვილის მიერ სპექტაკლის „HELLADOS" დადგმის შემდეგ გაჩნდა, რადგან მასში პერსონაჟების როლებს მათი თანატოლები ასრულებენ და სპექტაკლის წარმატებაში ამ გარემოებამაც შეიტანა თავისი წვლილი. „პირველი ავტოგრაფის" პირველივე სეზონმა შთამბეჭდავად ჩაიარა და საზოგადოებრიობამ ერთხმად დაასკვნა, რომ მისი დაარსებით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. მოგეხსენებათ, ისეთი დიდი ფორუმისთვის მზადება, როგორიც თეატრალური ფესტივალია, მთელი წელიწადი უნდა მიმდინარეობდეს, მისი დამფუძნებლებისთვის - მიხეილ გაბაიძისა და პეტრე ჩარგეიშვილისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი ბავშვთა ახალი თეატრალური სტუდიის დაარსებაცაა. ჩვენ სწორედ ამ ურთიერთდაკავშირებულ საკითხებზე საუბრისთვის მოვიწვიეთ რეჟისორი* ***პეტრე ჩარგეიშვილი.***

**- თეატრალური სტუდიის დაარსება სასკოლო თეატრალური ფესტივალის „პირველი ავტოგრაფის" ერთგვარი გამოძახილია?**

- უპირველესად, მადლობა ყურადღებისთვის, რაც ბათუმში ჩამოსვლის დღიდან ნამდვილად არ მაკლია თეატრით დაწყებული ნებისმიერი იმ უწყებით დამთავრებული, რომელიც ჩემს საქმიანობას უკავშირდება. თეატრალური სტუდიის „დეფიციტი" შექმნას უფრო სპექტაკლ „HELLADOS"-ს „დავაბრალებ", რადგან პროფესიული თეატრის დადგმაში ამ მასშტაბით ბავშვების მონაწილეობის პირველი მერცხალი იყო ბათუმში (რეგიონში), რომლებიც სკოლებში შევარჩიეთ. სწორედ აქედან წამოვიდა თხოვნა და მოთხოვნა სტუდიის დაარსებისა. თუმცა პანდემიის „წყალობით" ეს ნაბიჯი დაგვიანდა და მის დაარსებას წინ უძღოდა სასკოლო საყმაწვილო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი", რომელმაც უკვე საბოლოოდ დამარწმუნა ქალაქში სტუდიის შექმნის აუცილებლობაში.

**- ცხადია, პირველი გამოცდილებაც მიიღეთ. მაინც რა ცვლილებები გიკარნახათ პირველმა ფესტივალმა მეორე სეზონისთვის?**

- თავიდანვე იმდენად სწორად და თანმიმდევრულად დაიგეგმა ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი", რომ დიდი ცვლილებების საჭიროება აღარ წარმოიშვა. რაღა თქმა უნდა, ამის თქმის საშუალებას ის კვლევები და დაკვირვებები იძლევა, რასაც დღემდე ვაწარმოებთ ფესტივალის დამფუძნებლები. ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ საფესტივალო სპექტაკლებზე სამუშაოდ სკოლებში აუცილებელია, პროფესიონალი რეჟისორების მოწვევა, მიუხედავად იმისა, რომ პატივს ვცემ და მადლიერი ვარ მასწავლებლების ამ კუთხით შემოქმედებისა. ასევე, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს იმას, თუ რა პიესები დაიდგმება საკონკურსოდ. წლევანდელ ფესტივალზე აუცილებლად მოვითხოვთ, რომ ნაკლები ან საერთოდაც არ იყოს



ლიტერატურული ხასიათის პერფორმანსები, რაც საერთოდ არ ეხმარება მოზარდს თეატრალური გმირის შექმნაში და სულ სხვაგან მიჰყავს სამუშაო პროცესი, მოზარდები ვერ ახერხებენ თავიანთი ნიჭის წინ წამოწევას, მოსაწყენი და უინტერესო ხდება დადგმაც. ჩვენი ფესტივალი კი იმისთვისაა მოწოდებული, რომ თეატრი შეაყვაროს ბავშვებს. იმდენად დიდია ინტერესი ფეტივალის მიმართ, რომ ნომინაციების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. ამის შესახებ ოფიციალურად პრესკონფერენციაზე ვისაუბრებთ.

**- თქვენი აზრით, რა გამოგივიდათ განსაკუთრებულად კარგად ფესტივალის პირველივე სეზონზე?**

- გამიჭირდება რომელიმე აქტივობის ან მისი შედეგის გამოყოფა. უმთავრესი და პირველი ის იყო, რომ მოზარდები ჩაერთნენ თეატრალურ პროცესებში, გაიკვალეს ბილიკები თეატრისკენ, მუზეუმისკენ, ბიბლიოთეკისკენ (როგორც მათთან საუბრიდან გამოჩნდა, სამწუხაროდ, ბევრი პირველად სტუმრობდა ამ დაწესებულებებს)... რაც მთავარია, კიდევ და უკეთესად თავის წარმოჩენის, პირველობის მოთხოვნილება გაუჩნდათ.

**- დაეხმარება თუ არა რაიმე ფორმით თქვენი სტუდია მომავალში „პირველ ავტოგრაფს"?**

- ვიმედოვნებ, რომ თეატრალური სტუდია „დეფიციტი" მოახერხებს პატარა და ლამაზი სპექტაკლის დადგმას ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამისთვის, რომელიც ერთგვარ თამასად იქცევა სასკოლო საყმაწვილო სპექტაკლებისთვის. სამწუხაროდ, წლევანდელ ფესტივალზე როგორც კერძო თეატრალურ სტუდიას საფესტივალო კონკურსში მონაწილეობის უფლება არ მეძლევა. გაისად ვნახოთ, რა გადაწყდება.

**- რა შედეგი იგრძნობა, თუნდაც უკვე, „პირველი ავტოგრაფის" ჩატარების წყალობით?**

- ამ ფესტივალს პირველივე ჯერზე ჰქონდა დადებითი და საინტერესო შედეგი. თუნდაც ის, რომ იმაზე გაცილებით მეტმა სკოლამ გამოთქვა მომავალ სეზონზე მონაწილეობის სურვილი, ვიდრე პირველზე იყო და როგორც პირად საუბრებში გვიმჟღავნებენ, დაიწყეს კიდეც მზადება. განსაკუთრებით სასიხარულო ისაა, რომ თავად ბავშვები დაინტერესდნენ თეატრალური ხელოვნებით და მათ მონდომებაზე რეაგირებას სკოლის მესვეურებიც არ აყოვნებენ. გარდა ამისა, გაჩნდა მოთხოვნაც, რომ ფესტივალი გახდეს სრულიად საქართველოს მასშტაბის. გვწერენ და გვირეკავენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონიდან და ქალაქიდან. სამწუხაროდ, მსოფლიოში არსებული ვითარების გამო ფესტივალი წელსაც მხოლოდ აჭარით შემოიფარგლება.

**- რამდენი ბავშვია თქვენს სტუდიაში და თეატრალურ ხელოვნებასთან ზიარების როგორი სისტემა გაქვთ?**

- თეატრალურ სტუდია „დეფიციტში" ჯერჯერობით 10 მოზარდია ჩარიცხული. თანდათან გვემატებიან და კიდევ 15-ის მიღებას ვგეგმავ ამ ჯგუფში. თუ საჭირო გახდა და მოთხოვნა გაგრძელდა, აუცილებლად შეიქმნება მეორე ჯგუფიც, რომელიც ისევე პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი იქნება ბათუმისთვის, როგორც პირველი. სწავლების პროცესი თითქმის იგივეა, რაც თეატრალურ ინსტიტუტში, ეგაა, რომ ბავშვებთან ოდნავ იცვლება მიდგომა და პროცესი. ამის თაობაზე ინფორმაცია დევს ჩვენი სტუდიის ფეისბუქგვერდზე'. ბავშვები კვირაში 9 საათი ეუფლებიან მეტყველების ხელოვნებას, სასცენო მოძრაობას, მსახიობის ოსტატობას, ქცევის ეტიკეტს. გაივლიან ვოკალის მასტერკლასს, მოისმენენ მსოფლიო და ქართული თეატრის ისტორიის ზოგად კურსს. „დეფიციტის" ზეამოცანაა ბათუმის მოზარდთა ალტერნატიული თეატრალური დასის შექმნა.

**- ალტერნატიულში რას გულისხმობთ?**

- მოზარდები ითამაშებენ სპექტაკლებს და თანატოლებს თავად დაელაპარაკებიან თავიანთ პრობლემებზე, რომლებიც უკეთ იციან. სათქმელი, პრობლემა, რომელიც გადააზრებულია და რომელსაც უფროსი თაობა აწვდის მოზარდს, მისთვის ტრაფარეტულია და ხშირად უჭირს მიღება. მოკლედ, მოზარდები - მოზარდებისთვის.

**- ფესტივალის ფარგლებში ფინანსდება თუ არა მონაწილე სკოლების სპექტაკლები?**

- სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერ ვერ მოგვარდა. სახელმწიფო ფესტივალის ორგანიზებაში მონაწილეობს და მადლობა მას. სწორედ აჭარის კულტურის სამინისტროსა და მინისტრ მაია ხაჯიშვილის სურვილით და ინიციატივით შეიქმნა ეს ფესტივალი, თუმცა, როგორც ვიცი, ყველა სკოლას აქვს მცირე, მაგრამ ბიუჯეტი, რომელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ დახარჯავს.

**- ცოტა უცნაური სახელი ხომ არ არის სტუდიისთვის „დეფიციტი"? ალბათ სულიერების, კულტურის დეფიციტზე მიგვანიშნებთ?**

- ასეც შეიძლება ითქვას, მაგრამ კონკრეტულად - თეატრალური ხელოვნების ნაკლებობის გამო, თუმცა ეს პირდაპირ არ მინდა გაიგოთ. ბათუმის თეატრებში ამის დეფიციტი ნამდვილად არ იგრძნობა. ხმამაღლა ვამბობ, რომ ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობები ევროპის ნებისმიერ თეატრალურ დასს ტოლს არ დაუდებენ, აღემატებიან კიდეც... მაგრამ, ზოგადად, ბათუმში, თბილისში, გნებავთ ხონსა და ზუგდიდში, მოკლედ, მთელ საქართველოსა და დედამიწის ზურგზე ადამიანს სული დაეკოჟრა და გაუუხეშდა. ჩაკეტილია და დასტრესილი. მერე ეს „ცისფერი" ეკრანი, ინტერნეტი და უწიგნურობა, სულიერი შიმშილი და გაუცხოება... ამის დეფიციტი გვაქვს და შაქრისა კი გვგონია. ერთმანეთის დეფიციტი გვაქვს დღეს ჩვენ. თეატრი მოზარდს სულს უფაქიზებს და შენდობის თხოვნას, მიყვარხარ-ის თქმას უადვილებს.

**- გარკვეული გამოცდილება ბავშვებთან მუშაობისა სპექტაკლ „HELLADOS"-ზე მუშაობამ შეგძინათ. რას იტყვით ამაზე?**

- ბათუმელ ბავშვებთან ამ სპექტაკლზე მუშაობამ ჩემს გამოცდილებას კიდევ ერთი საინტერესო დეტალი შესძინა, რომელიც აქამდეც საკმაოდ მქონდა - თითქმის ოცი წელი. საკმარისი იყო პირველი შეხვედრა და მის მერე უარი ვერ ვთქვი ყველაზე გულწრფელ ადამიანებთან ურთიერთობასა და მუშაობაზე.

**- მიდის თუ არა მუშაობა „ავტოგრაფის" მომავალი სეზონისთვის?**

- ფესტივალის შემოქმედებითმა ჯგუფმა უკვე რამდენიმე კვირაა, დაიწყო მზადება. რამდენიმე სკოლაში ვიყავით და დანარჩენებსაც მოვინახულებთ უახლოეს დღეებში. ამ პროცესში რესურსცენტრებიც ჩაერთვებიან და მალე პრესკონფერენციასაც გავმართავთ, სადაც ყველა ახალი დეტალი გახდება ცნობილი ფესტივალით დაინტერესებულთათვის.

**- ალბათ ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც... რომელი პიესის დადგმას აპირებთ სტუდიაში?**

- ძალიან გვინდა, ეს ფესტივალ „პირველი ავტოგრაფის" ფარგლებში დაიდგას. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში ვაჩვენებთ, თუ ხარისხი სამაგალითო იქნება სხვა დასებისთვის, რომლებიც ფესტივალში მიიღებენ მონაწილეობას. სტუდიელები ამ სურვილით არიან ანთებულები და ბევრსაც მუშაობენ საამისოდ. რაც შეეხება პიესას, ჯერ თავს შევიკავებ ამაზე საუბრისგან. ვფიქრობ, ერთი ბათუმელი დრამატურგის და ჩემი ერთობლივი პიესის დადგმაზე. არჩევანი არც ისე დიდია. განვიხილავ ჩემს ახალ პიესასაც, ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

**- თქვენი აზრით, რა პრობლემას უნდა მიხედონ სკოლებში იმ მოზარდების გამოსავლენად და ხელშესაწყობად, ვინც ღმერთმა მსახიობის ნიჭით დააჯილდოვა... და არა მარტო მათთვის?**

- პირველ რიგში, უკეთ უნდა გაიცნონ ბავშვების შემოქმედებითი პოტენციალი. ჩვენ მივეჩვიეთ ბავშვის დაზეპირებული მასალით შეფასებას. სწორედ ესაა შეცდომა. დუმბაძის არ იყოს, ადამიანი ყველა მხრიდან უნდა დაინახო და მაშინ გაიგებ, როგორია. მოკლედ, აუცილებელია პატარა თეატრების შექმნა სკოლების ბაზაზე, როგორც რიგ სკოლებს (რამდენიმეს, მაგრამ მაინც) აქვთ შექმნილი. მეტი თავისუფალი აზროვნების საშუალება უნდა მივცეთ ბავშვებს და თვითონ მიგვითითებენ, სად შეიძლება მათი აღმოჩენა. თეატრი ყველა სკოლაში უნდა იყოს. დღევანდელი თაობა ძალიან დასტრესილია და დიდი სითბოთია საჭირო მათთან ურთიერთობა.

**- რას უსურვებთ მსახიობად დაბადებულ მოზარდებს?**

- ყველა ბავშვი ნიჭიერია თავისებურად. ყოველთვის ამას ვურჩევ ყველა ბავშვს - სწორად გამოიყენოს თავისი ცხოვრების გაზაფხული (ხვნა-თესვის დრო), რათა შემოდგომისას ჯანსაღი, მართალი, გემრიელი და დაუმადლებელი მოსავალი მოიმკას. მივმართავ მათ: აუცილებლად ჩაერთონ ნებისმიერ აქტივობაში, რაც სახლიდან და ვირტუალური სივრციდან გაიყვანს მათ. სანამ ტურისტულ საგზურს შეიძენენ, წიგნებში იმოგზაურონ, სანამ სხვის კეთლდღეობას დაითვლიან, საკუთარი გამოიმუშაონ, სანამ სხვის ცუდზე იყვირებენ, საკუთარ სინდისს ემეგობრონ. დიდება და მშვიდობა საქართველოს, მშვიდობა უკრაინას და მსოფლიოს!

**- დღეს ხელოვანები სულ უფრო ხშირად ასახავენ უკრაინაში გაჩაღებული ომის თემას თავიანთ შემოქმედებაში, თქვენც ხომ არ გეგმავთ რაიმეს?**

- გეთანხმებით, რომ სულ უფრო გახშირდა სპექტაკლები უკრაინის ომის თემაზე. თუ ახლო მომავალში შევეხები მას - აუცილებლად რუსულ ოკუპაციას და არა კონკრეტულად უკრაინის ომს. ჩემი სახლის აივანზეც ფრიალებს უკრაინის დროშა ქართულთან ერთად. ჩემი სამშობლოს ოკუპაცია გაცილებით ადრე მოახდინა რუსეთმა, გაცილებით ადრე შეირაცხნენ გმირებად შინდისის ბიჭები და სპეკულაცია მგონია მაინცდამაინც უკრაინის ოკუპაციის ირგვლივ ტრიალი. ვგეგმავ ამ პრობლემის ჩემეულად ასახვას სცენაზე, მაგრამ არა სტუდიელი ბავშვების მონაწილეობით. ვცდილობ, ეს სტრესი და შიში შევუმსუბუქო და დავავიწყო ბავშვებს და თუ ასეთ თემას შევთავაზებ, უფრო გავუმძაფრებ ომისგან გამოწვეულ ტკივილს. ჩემთან ის თაობაა, ვინც ჯერაც არ იცის ომის მარწუხების შესახებ. შევეცდები არ ჩავახედო ამ უბედურებაში, თუმცა ამ საკითხზე თითქმის ყველა ლექციის დაწყებისას ვმსჯელობთ და ვცდილობ, ხშირად შევახსენო, რომ მათი, ჩემი, ჩვენი სამშობლოს 20% ოკუპირებულია რუსეთის იმპერიის მიერ.

ესაუბრა
მარინა მითაიშვილი